# ჩაის კრეფა აჭარისტანში

## საქ. კ. პ. (ბ) აჭარისტანის საოლქო კომიტეტის დადგენილებიდან

**ბათომი**, 25 ივნისი. საქ. კ.პ. (ბ) აჭარისტანის საოლქო კომიტეტმა განიხილა საკითხი ჩაის ფოთლის მოკრეფის ივნისის გეგმის შესრულების შესახებ.

მან აღნიშნა, რომ ჩაის ფოთლის მოკრეფის ივნისის გეგმას ჩაშლა მოელის. 19 დღის განმავლობაში მოკრეფილია 355 ტონა ანუ გეგმის 53,8 პროცენტი. 20 ივნისისთვის ქობულეთის რაიონში მოკრეფაკი დარჩა 67 ტონა, ბათომის რაიონში — 37 ტონა, ხოლო სულ აჭარისტანში — 104 ტონა.

ეს იმის შედეგია, რომ ბათომის აგრეთვე ქობულეთის რაიონების ზოგიერთ საბჭოთა მეურნეობაში მთელ რიგ კოლმეურნეობებში და განსაკუთრებით ერთპიროვნულ სექტორში ჯერ ვერ ვხედავთ ნამდვილ ორგანიზებულობას, ყველა შესაძლებლობის და რეზერვების სავსებით გამოყენებას. მთელ რიგ შემთხვევებში გეგმის შესრულებისათვის ბრძოლის ნაცვლად დაუსრულებლივ მსჯელობენ არახელსაყრელ კლიმატურ პირობებზე, რაც დემობილიზაციურ განწყობილებას ჰქმნის.

საოლქო კომიტეტმა აგრეთვე აღნიშნა, რომ ძალიან ბევრია უხეში ყლორტი (მოკრეფილია 47 ტონა ანუ 18 პროცენტი), რაც დაგვიანებით მოკრეფის შედეგია.

ბევრ ადგილას (ციხისძირის საბჭოთა მეურნეობა, კოლმეურნეობა „განთიადი“, სტურუას სახელობის კოლმეურნეობა, ჩაქვის სასოფლო საბჭოს ერთპიროვნული მეურნეობანი) არაა მუდმივი კონტროლი ფოთლის მომწიფებაზე, უცდიან მასობრივ მომწიფებას. ამის შედეგია ფოთლის გადამწიფება.

მეჩაიეთა საგრძნობი ნაწილი ფოთოლს ჰკრეფს მხოლოდ 1-2-ჯერ 10—12 დღეში. ამასთან ჰკრეფენ ხშირად დაუდევრად — ბუჩქებზე სტოვებენ რამდენიმე მომწიფებულ დუყს.

ყოველივე ეს იწვევს დიდ დანაკარგებს, აუარესებს მოკრეფილი ფოთლის ხარისხს.

აჭარისტანში არა მარტო იმის საკმაო შესაძლებლობაა, რომ ივნისის გეგმა უეჭველად შესრულდეს (მაისის დანაკლისის დაფარვით), არამედ აგრეთვე იმისთვისაც, რომ აღმოიფხვრას ჩამორჩენა ხარისხობრივი მაჩვენებლების მხრივ.

საქ. კ.პ. (ბ) ქობულეთის და ბათომის რაიკომების მდივნებს, ქობულეთის ჩაის კანტორის და ბათომის მტს-ის ხელმძღვანელობას, აგრეთვე რაიმიწგანებს და ჩაის დარგის ყველა ხელმძღვანელ მუშაკს წინადადება მიეცათ მთელი თავისი ენერგია და ყურადღება მოახმარონ ყველა შესაძლებლობის და რეზერვების სავსებით გამოყენებას, არაორგანიზებულობის ამ მაგალითთა დაუყოვნებლივ აღმოფხვრას და მტკიცედ აღკვეთონ ყოველგვარი დემობილიზაციური განწყობილება, არახელსაყრელი კლიმატური პირობების მომიზეზება, წვიმების ლოდინი და სხვ.

მაღალი ხარისხის ფოთლის მოზავალ მასობრივ მოკრეფასთან დაკავშირებით, წინადადება მიეცათ, რომ აგროტექნიკოსებმა თვითეული ცალკე უბანი ყოველდღიურად გულდასმით შეამოწმონ; საბჭოთა მეურნეობებში და განსაკუთრებით კოლმეურნეობებში და ერთპიროვნულ მეურნეთა პლანტაციებზე მიაღწიონ ჩაის ფოთლის ნამდვილად განუწყვეტელ და აგრონომიულად სწორ მოკრეფას უდანაკარგოდ.

თუ მუშა ხელის ნაკლებობაა, ჩაის ფოთლის მოკრეფაზე დროებით უნდა გადაიყვანონ საბჭოთა მეურნეობების მუშები და კოლმეურნეები, რომელნიც ამჟამად სხვა სამუშაოებზე არიან.

საქ. კ.პ. (ბ) აჭარისტანის საოლქო კომიტეტმა ქობულეთის და ბათომის რაიკომებს დაავალა ბიუროს სპეციალურ სხდომებზე დაუყოვნებლივ განიხილონ ცენტრალური კომიტეტის 17 ივნისის დირექტივა და საოლქო კომიტეტის 20 ივნისის დადგენილება, გამოიმუშაონ ამასთან დაკავშირებით კონკრეტული ღონისძიებანი ჩაის ფოთლის მოკრეფის თვითეული ცალკე ობიექტისათვის. ამ სხდომებს უნდა ესწრებოდნენ ჩაის დარგში სამუშაოდ მიმაგრებული რაიონული და საოლქო მუშაკი. ჩაის სასოფლო საბჭოებში უნდა გამართონ საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობების და ათკომლეულების მოკლე თათბირები და ამ თათბირებზე შეამოწმონ ყოველდღიური და ხუთდღიური მოკრეფის გეგმები, გამოარკვიონ, რამდენად შესაძლებელია მათი გადიდება. აგრეთვე უნდა შეამოწმონ ის, თუ როგორ არიან განაწილებული ადამიანები და დასახონ ღონისძიებანი აგროკონტროლის გაძლიერებლად და იმ პირთა პასუხისგებაში მისაცემად, რომელნიც ბოროტად გაურბიან ჩაის ფოთლის მოკრეფას, აფუჭებენ ფოთოლს.

აღნიშნა რა საოლქო კომიტეტის მიერ ჩაის სასოფლო საბჭოებზე მიმაგრებულთა სუსტი მუშაობა, საქ. კ.პ. (ბ) აჭარისტანის საოლქო კომიტეტმა ივნისის გეგმის შესრულებამდე მიამაგრა საოლქო კომიტეტის ბიუროს წევრები: ამხ. რომიშვილი (ქობულეთის რაიონზე), ჩახვაძე (ბათომის რაიონზე).

ჩაის საბჭოთა მეურნეობებზე მიმაგრებულებს წინადადება მიეცათ დაუყოვნებლივ გაემგზავრონ ადგილზე და დარჩნენ იქ, სანამ შეიქნებოდეს იმის გარანტია, რომ ივნისის გეგმა შესრულდება (აღს).

გ. გოგუაძე

საქ. განსახკომის სასკოლო სამმართველოს უფროსი

# ჩვენს ახალგაზრდობას—სტალინური მზრუნველობა!

სოციალიზმის გაშლილი მშენებლობის ქვეყანაში ადამიანი ყველაზე მეტად ძვირფასია, მაგრამ ახალგაზრდობა—ჩვენი სახელოვანი ახალგაზრდობა — ძვირფასზე უფრო ძვირფასია: ის არის ჩვენი ხვალინდელი დღე და იმედი, ის ჩვენი შემცვლელია კომუნიზმის შენებისთვის ბრძოლის ასპარეზზე. ის უნდა დადგეს ურყევად სოციალისტურ სამშობლოს უდიდესი შემოქმედებითი მუშაობის სათავეზე. ყოველმხრივად განვითარებულმა და ძლიერმა, ხალისით აღსავსემა და დიად გამარჯვებათა ენტუზიაზმით ანთებულმა —მან უნდა იკისროს კაცობრიობის ისტორიის შემდგომი განვითარება ოქტომბრის გზით, — ლენინ-სტალინის კომუნისტური პარტიის გზით. მან უნდა შესძლოს კომუნიზმის საბოლოოდ დამყარება.

ამიტომ არის, რომ ჩვენი კომუნისტური პარტია და დიდი ბელადი ამხ. სტალინი, საბჭოთა მთავრობა და მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობა განსაკუთრებული ყურადღებით, სითბოთი და მზრუნველობით ეპყრობიან საბჭოთა ახალგაზრდობას.

პროლეტარული რევოლუციის ქარტეხილსა და სოციალისტური შრომის გუგუნში აღზრდილი ჩვენი ახალი თაობა ემზადება თავისი ისტორიული როლის შესასრულებლად: ჩვენი ბავშვების სულსა და გულში პატარობიდანვე ისახება პროლეტარიატის დიდი ბელადების იდეალი; პატარობიდანვე ისინი ისისხლხორცებენ ჩვენი ქვეყნის გმირობასა და სიდიადეს, სულ მცირეასაკიანსაც კი უტოკავს პატარა გული იმისათვის, რომ გახდეს დიდი მეცნიერი და ხელოვანი; სახელოვანი ინჟინერი და გამომგონებელი; მფრინავი და წითელი ჯარის სარდალი; გეოლოგი — მკვლევარი და სოციალისტური მინდვრების ოსტატი, საბჭოთა ექიმი და არქტიკის გმირი, მხატვრული მშენებლობის ოსტატი, საბჭოთა არქიტექტორი და სახელოვანი მასწავლებელი — სოციალისტური ახალგაზრდობის სულის მშენებელი. კლასობრივი ბრძოლისა, მშენებლობისა და სოციალისტური შემოქმედებისაკენაა მიმართული ჩვენი ახალგაზრდობის გულისყური და ინტერესი: სოციალისტური ყოფა განსაზღვრავს საბჭოთა ახალგაზრდობის რევოლუციურ შეგნებასა და გმირულ მისწრაფებას.

სოციალიზმის ქვეყნის ახალგაზრდობა დიადი და უმშვენიერესი მოვლენაა კაცობრიობის ისტორიაში—იგი სოციალიზმის პირმშოა და კომუნიზმის გმირული მშენებელი.

მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს ჩვენს ახალგაზრდობას იმაზე მეტი არ მოეთხოვებოდეს, რაც ის დღეს არის: კარგია, მაგრამ უკეთესი უნდა იყოს; ძლიერია, მაგრამ უძლიერესი უნდა იყოს. დიად ახალგაზრდობას დიად მოთხოვნებს ვუყენებთ.

უზომოდ გვიყვარს და ამიტომ მისგან ბევრს მოვითხოვთ. ჩვენი სურვილი უსაზღვროა, რადგან ახალგაზრდობაში ახალ ადამიანს ვჭვრეტთ და ახალი ადამიანისათვის ვიბრძვით. ჩვენი ახალი თაობა დღითი დღე იზრდება, სწრაფად ადის განვითარების მაღალ საფეხურებზე, მაგრამ მაინც ვუწუნებთ მეცნიერული ცოდნის დონეს და გონებრივ სიმაღლეს; ვუწუნებთ, რომ ჯერ კიდევ ვერ ამაღლებულა ლენინის მითითებულ კომუნისტური მორალისა და კომუნისტური ქცევის უმაღლეს დონემდე; ვუწუნებთ, რომ გმირული და დიადი ჩვენს ახალგაზრდობაში საკმაო სიმტკიცით ჯერ კიდევ არ არის შეხამებული ადამიანის ღირსების პატივისცემასა და სტალინურ სი[illegible]ჯესთან. შევხარით ჩვენს სახელოვანსა და ბედნიერ ახალგაზრდობას და თანაც მტკიცეთ მოვითხოვთ მისგან მეტი შეგნებით და ბოლშევიკური სიმტკიცით სწრაფად ავიდეს ახალი ადამიანის სიმაღლეზე.

მაგრამ ჩვენს თავსაც უნდა მოვსთხოვოთ: კიდევ უფრო მეტი სითბო და მზრუნველობა ახალგაზრდობის მიმართ, მეტი ყურადღება აღმზრდელობითს მუშაობაში, გულდასმით შევისწავლოთ ყოველი ბავშვი — მისი ინტერესი, მისწრაფება შესაძლებლობანი, მისი ცხოვრებისა და სასწავლო მუშაობის პირობები სკოლაში და სკოლის გარეთ შევისწავლოთ ის გავლენა, რომელსაც ბავშვი განიცდის კიდევ უფრო ახლოს მივიდეთ ბავშვთან და აღვზარდოთ ისე, როგორც „მებაღე მზრუნველობით და სიყვარულით ზრდის შერჩეულ მცენარეს“ (სტალინი).

საბჭოთა სკოლა—ახალი ადამიანის ნამდვილ ლაბორატორიად უნდა ვაქციოთ და საბჭოთა მასწავლებელი ბავშვთა სულის ინჟინრად; არ არის უფრო საპატიო, უფრო პასუხსაგები და რთული მოვალეობა, როგორც კომუნისტური აღზრდის უდიდეს სიმაღლეზე აყვანილი მასწავლებლის მოვალეობა. აქ მასწავლებლისათვის საჭიროა მარქსისტულ-ლენინური მომზადება, პედაგოგიური მეცნიერება და ოსტატობა, ახალგაზრდობის ულრმესი სიყვარული და სოციალისტური სამშობლოს წინაშე უდიდესი პასუხისმგებლობა.

რადგან ადამიანი მთავარია და „კადრები ყველაფერს სწყვეტენ“, ამიტომ მით უფრო მწვავე ხასიათს იღებს კლასობრივი ბრძოლა ახალგაზრდობისთვის. ჯერ კიდევ განადგურებული კლასობრივი მტრის საზიზღარი და გაწირული ნაფლეთები აქა-იქ ლამობენ სისხლიანი ხელით წაეპოტინონ ბავშვთა სულსა და გულს. აღმზრდელობითს მუშაობაში ისინი, ვინც დგანან ახალი თაობის კომუნისტურად აღზრდის საგუშაგოზე, ხშირად ვერ იჩენენ იმ შეტევითს სიფხიზლეს, რასაც ამხ. ლ. ბერიამ ხაზი გაუსვა საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის უკანასკნელს პლენუმზე.

წლიური შემოწმებითი გამოცდები სკოლებში დასრულდა. წინასწარი შედეგები მოწმობს, რომ ამ სასწავლო წელმა სკოლის შესახებ ც. კ-ის ისტორიულ დადგენილებათა განხორციელების საფუძველზე მნიშვნელოვანი წარმატება მოგვცა — გასულწელთან შედარებით, საშუალოდ წინწაწევა—12-16 პროცენტს უდრის. ეს უმთავრესად იმის შედეგია, რომ ახლადდასრულებული სასწავლო წელი კარგად იყო მომზადებული.

პარტია, ხელისუფლება, მასწავლებლობა და საბჭოთა საზოგადოებრიობა აღფრთოვანებით ხვდებიან ჩვენი საშუალო სკოლის პირველ გამოშვებას. ათასობით ახალგაზრდობა უმაღლეს სასწავლებელში მიდის. მზრუნველობით და სიყვარულით გავაცილოთ საშუალო სკოლიდან, მზრუნველობით და სიყვარულით შევხვდეთ მათ უმაღლეს სკოლებში, დავეხმაროთ მეცნიერებათა სიმაღლეების ბოლშევიკურად დაპყრობაში, გამოვზარდოთ სოციალიზმისა და კომუნიზმის შენების ახალი ენტუზიასტები და ახალი გმირები.



ტფილისის ზუსტი ხელსაწყოების ქარხანა.

ტფილისის ზუსტი ხელსაწყოების ქარხანამ აითვისა მთელი რიგი ტექნიკურად რთული ხელსაწყოები; პროფესორ ჟუკოვსკის სისტემის სწრაფმომქმედი ბატომეტრი, ინჟინერ აპოლოვის პიეკრაბაზანები, ინჟინერ ბელტონოგოვის და ლესნიგოროდის ზღვარული დონსაზომები. სურათზე: ზეინკალი მექანიკოსი ამხ. მ. ფ. კონონოვი აწყობს და აწესრიგებს პროფ. ჟუკოვსკის ბატომეტრს (ხელსაწყო, რომლითაც მდინარეებისა და ზღვების სხვადასხვა სიღრმიდან ამოაქვთ წყალი ანალიზებისათვის).

# სასწავლო წლისათვის წინასწარ ემზადებიან

სიღნაღის რაიონის არასრულ და სრულსაშუალო სკოლებში გამოცდების პირველმა დღეებმა დაგვანახვა, რომ იქ, სადაც პედაგოგიური კადრი შერჩეული იყო, სადაც სუსტ მოწაფეთა გამოსწორებას მზრუნველობით ეკიდებოდენ აკადემიურად წარმატებულ მოწაფეთა პროცენტი გასულ წელთან შედარებით დიდად გაიზარდა.

ამას მოწმობს გამოცდები წითელწყაროს ქართულ არასრულ საშუალო სკოლაში. აქ ყველა საგნის სასწავლო პროგრამა მთლიანად დაძლეულია და მოწაფეთა აკადემიური წარმატების მაჩვენებელიც საკმაოდ მაღალია.

წარმატებით ამთავრებს მიმდინარე სასწავლო წელს სიღნაღის საშუალო სკოლაც (დირექტორი ა. ნანობაშვილი). აქ აკადემიურად წარჩინებულ მოწაფეთა რაოდენობა 95 პროცენტს აღემატება.

მაგრამ სასწავლო წლის ნაყოფიერად დამთავრება როდი კმარა. ახლა მთავარია მომავალი სასწავლო წლისათვის მზადება. ამ მხრივ რაიონში შედარებით უკეთესი მდგომარეობა აქვს სიღნაღის პედაგოგიურ ტექნიკუმს. ამ სკოლას ყოველგვარი წინასწარი პირობები აქვს შენობის შესაკეთებლად. ფიზიკური, ქიმიური და საბუნებისმეტყველო კაბინეტი უკვე შევსებულია ახალი ხელსაწყოებით. მომავალ სასწავლო წლისათვის ეს ტექნიკუმი ყოველმხრივ უზრუნველყოფილი იქნება.

იგივე შეიძლება ითქვას წითელწყაროს არასრული საშუალო სკოლის (ქართულის) შესახებაც. მაგრამ სკოლები, სადაც სასწავლო წლისათვის წარმატებით და გულისხმიერად ემზადებიან თითო-ოროლაა. სამწუხაროდ, სკოლების უმრავლესობა სასწავლო წლისათვის ჯეროვნად არავითარ სამზადისს არ აწარმოებს. ისინი გულდამშვიდებული არიან და ალბათ ფიქრობენ, რომ ჯერ კიდევ ადრეა მომავალი სასწავლო წლისათვის მზადების დაწყება. სიღნაღის რაიონში თითქმის ყველაზე დიდი სოფლის საბჭოს, საქობოს, დღემდე არა აქვს სკოლის შენობა. აქ არსებობს არასრული საშუალო სკოლა, რომელშიაც [illegible] მეცადინეობს [illegible] ერთი [illegible] ოთახები სხვადასხვა სახლებში და მოწაფეებს ხან სად დააწიალებენ ხან სად. ადვილი წარმოსადგენია, რა ხარისხის ექნება ასეთ მეცადინეობას! აქ უკანასკნელ ხანებში შემჩნეულია მოწაფეთა ხულიგნობა. ამას წინათ ქედსაბჭოს სხდომაზე მოწაფეებმა [illegible] ხულიგნური თავდასხმა მოაწყვეს, დაუშინეს ქვები იმ ოთახს, სადაც [illegible] სხდომა მიმდინარეობდა, და [illegible] ლანძღვა-გინება და ღრიანცელი. დღემდე არ მოღებია ბოლო მოწაფეთა ხულიგნობას.

სასკოლო მშენებლობის მხრივ მარტო ს. საქობო როდია ჩამორჩენილი. გასულ წელს დაწყებული სასკოლო შენობები დამთავრებული არ არის ზემომაჩხანში, ნუკრიანში, ტიბაანში, მაღაროში, ზემოქედში, წითელსაბათლოში და წითელ წყაროში. მარტო მშენებლობის დაწყება საკმარისი არ არის, საჭიროა მისი დამთავრება. დასახელებულ სოფლებში ეს საქმე უყურადღებოდაა მიტოვებული. დიდი მუშაობაა საჭირო კადრების შერჩევისა და მათი სწორად განაწილებისათვის. უვარგისი კადრები ხშირად ფუშავენ საქმეს. მაგალითად, ულიანოვკის არასრულ საშუალო რუსულ სკოლიდან მოწაფეთა ნახევარზე მეტმა თავი მიანება სკოლაში სიარულს, ზოგიც მშობლებმა გამოიყვანა, ზოგიც თვითონ გაიქცა. მოწაფეთა დენადობის მიზეზი სკოლის დირექტორის ქუთათელაძის „უაღრესი ნერვიულობა“ და არაპედაგოგიური მუშაობა აღმოჩნდა. ქუთათელაძე მასწავლებლობის სახელს არცხვენს. გარდა იმისა, რომ საზიზღრად ექცევა მოწაფეებს, მას სახელი აქვს გატეხილი სოფლად. აბა, ასეთმა პედაგოგმა როგორ უნდა აღზარდოს მოსწავლენი? ასეთივე უხეში და „ნერვიული“ მასწავლებლები სიღნაღის რაიონში მცირე გამონაკლისს არ შეადგენენ. საჭიროა პედაგოგიური კადრების გადასინჯვა და მათი გულდასმით შემოწმება.

ალ. გვინჩიძე.
ლ. ისაკოვი

# შევქმნათ საკოლმეურნეო უპარტიო აქტივის კადრი

(საკ. კორესპონდენტისაგან)

საკოლმეურნეო აქტივის კარგ მუშაობაზეა უმთავრესად დამოკიდებული კოლმეურნეობის სამეურნეო - პოლიტიკური და ორგანიზაციული განმტკიცება. ამიტომ ამ აქტივის ბოლშევიკურად აღზრდა ახლა საკოლმეურნეო პარტორგანიზაციების საბრძოლო ამოცანას წარმოადგენს.

ქუთაისის პარტორგანიზაციამ საკოლმეურნეო აქტივის აღზრდისათვის საგრძნობი მუშაობა გასწია. სოფლის საკოლმეურნეო პარტორგანიზაციებმა გვიჩვენეს უპარტიო აქტივისტების სოციალისტური აღზრდის ბოლშევიკური მაგალითები. განსაკუთრებით აღსანიშნავია სოფელ მაღლაკისა და გეგუთის კოლმეურნეობათა „მოწინავე პირველის“ და „წინსვლის“ პარტორგანიზაციების მუშაობა.

კოლმეურნეობა — „მოწინავე პირველს“ 35 აქტივისტი ჰყავს. აქტივისტთა უმრავლესობა უპარტიოა, მაგრამ ისინი საკოლმეურნეო მუშაობის მისაბაძ მაგალითს იძლევიან და პარტიულებს არ ჩამოუვარდებიან.

მოწინავე კოლმეურნეთა რიგებშია უპარტიო ამხ. ლევან მარდალეიშვილი. იგი კოლმეურნეობაში 1934 წელს შევიდა. პირველად ვერ მუშაობდა რიგიანად, არ ემჩნეოდა ენტუზიაზმი, ინიციატივა და საქმისთვის თავდადება, არ ღებულობდა მონაწილეობას საზოგადოებრივ მუშაობაში. პარტორგანიზაციამ იგი რამდენიმეჯერ გამოიძახა, ესაუბრა, მიამაგრა მას მომზადებული კომუნისტი, მისცა რჩევა-დარიგება, შეაგნებინა კოლმეურნეობის სიდიადე. ამის შემდეგ ლევანი თანდათან აქტიური კოლმეურნე ხდება. იგი საფუძვლიანად ეუფლება აგროტექნიკას; მას მალე აწინაურებენ და დღეს იგი მეექვსე ბრიგადის ხელმძღვანელია. გამწევი ძალის სანიმუშო მოვლისათვის ლევანი დაჯილდოვეს კიდეც. იგი ახლა სისტემატურად ესწრება პარტორგანიზაციის ღია კრებებს, საწარმოო თათბირებს, კოლმეურნეობის გამგეობის გაფართოებულ სხდომებს, მეცადინეობს პოლიტსკოლაში, იწერს გაზეთებს. ამხ. მარდალეიშვილს აქტივის სხდომებზე ხშირად საგულისხმო წინადადებები შეაქვს. მან რამდენიმე ხნის წინათ კოლმეურნეობის აქტივის სხდომაზე შეიტანა წინადადება: „ჩაის ფართობს საწრეტი არხები თუ არ გაუკეთდა, ჩაის ვარგისობა საფრთხის წინაშე დადგებაო“. მისი წინადადება კოლმეურნეობამ განახორციელა და საუცხოო შედეგიც მიიღო. დღეს კოლმეურნეობის ჩაის პლანტაცია მოვლისა და ნიადაგის დამუშავების მხრივ მართლაც სანიმუშოა. ამხ. მარდალეიშვილმა უკანასკნელ ხანს შემოიტანა განცხადება თანამგრძნობთა ჯგუფში მიღებაზე და კიდეც მიიღეს.

კარგად მუშაობენ № 2 ბრიგადის აქტივისტები ამხ. იორდანე და გერმანე ქორქოლიანები. ბრიგადირი ამხ. მიტროფანე ქილაძის (კომუნისტია) დახასიათებით, იორდანე და გერმანე ქორქოლიანები მისი ბრიგადის ბურჯებს წარმოადგენენ.

ამ ბრიგადას 13 ჰექტარი უვარგისი დაუმუშავებელი მიწა ჰქონდა, სადაც ტბა იდგა. თებერვალში იორდანე და გერმანე ქორქოლიანებმა დასვეს საკითხი ბრიგადის საერთო კრებაზე, „რადაც უნდა დაგვიჯდეს ხულტროულის (ფართობის სახელია) 13 ჰექტარი უნდა ამოვაშროთო“. მათი წინადადება განახორციელეს და დღეს ამ ფართობზე სიმინდის მოსავალს საუკეთესო პირი უჩანს.

იორდანე ქორქოლიანი მუშაობს ხარისხის შემმოწმებელ ინსპექციაში და მოვალეობას სამაგალითოდ ასრულებს. ეს იქიდანაც სჩანს, რომ ერთი თვის წინათ თავის შვილს დათიკო ქორქოლიანს არ ჩაუთვალა 600 კვ. საჟენი უხეიროდ დამუშავებული ფართობი და სასტიკი საყვედური გამოუცხადა.

კოლმეურნეობა „მოწინავე პირველის“ დამკვრელ კოლმეურნეებათ ითვლებიან ესტატე მარდალეიშვილი, ილიკო ფესტვენიძე, პლატონ ქორქოლიანი და სხვები.

გეგუთის კოლმეურნეობა „წინსვლის“ პარტორგანიზაციას შემოკრებილი ჰყავს 50—60 უპარტიო. პარტორგანიზაცია აქტივისტებს აძლევს დავალებებს, იბრძვის მათი კულტურულად და პოლიტიკურად აღზრდისათვის. აი აქტივისტები: პ. ბოლოკია, ნ. ჯიბლაძე, ქ. კილაძე, ზ. დითიაშვილი, ანეტა გაგოშიძე და სხვები, რომლებიც კოლმეურნეობაში შემოსვლისას წერა-კითხვის უცოდინარები იყვნენ. ისინი გაგზავნეს წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლაში, ასწავლეს წერა-კითხვა და დღეს ზოგი მათგანი საუკეთესო ბრიგადირია, ზოგიც მოწინავე კოლმეურნე.

საკოლმეურნეო აქტივთან ცოცხალი ოპერატიული კავშირი, ამხანაგური, გულისხმიერი დამოკიდებულება, წამოჭრილ საკითხების ყოველი წვრილმანის გათვალისწინება, აი რა ახასიათებს კოლმეურნეობა „წინსვლის“ პარტორგანიზაციის მუშაობას.

ვ. ლალიაშვილი

მ. გობეჩია

საქ. კ.პ. (ბ) ტფილისის კომიტეტის მდივანი

# სამაგალითოდ დავაყენოთ ტფილისის პარტიულ ორგანიზაციაში „პარტიული მეურნეობა“.

ბოლშევიზმის განუყრელ თვისებას მუდამ შეადგენდა ზრუნვა „პარტიული მეურნეობის“ სანიმუშოთ მოგვარებისათვის. პარტიის საუკეთესო ადამიანები და ორგანიზატორები ყოველთვის პირადათ ეწეოდენ ამ მუშაობას, სწავლობდენ და ამოწმებდენ პარტიული დოკუმენტების გაცემას, პარტიული ტექნიკის მდგომარეობას, ღრმად წვდებოდენ ამ საქმის თვითეულ წვრილმანს.

ყველაფერი ეს აუცილებელია განსაკუთრებით ამჟამად, როცა ჩვენს წინაშე მთელი სისრულით დგას კლასობრივი სიფხიზლის გამახვილების, მიმალულ ანტისაბჭოთა, კონტრრევოლუციურ ელემენტების, ანტიპარტიულ დაჯგუფებათა ნაშთების, ზინოვიეველ თეთრგვარდიელ ნაძირალების გამომჟღავნების და განადგურების ამოცანა. ამდინად, „პარტიული მეურნეობის“ მოწესრიგებას თვითეული პარტორგანიზაციისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

ტფილისის პარტორგანიზაციამ, საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დირექტივების საფუძველზე, მტკიცედ მოჰკიდა ხელი თავისი „პარტიული მეურნეობის“ გაუმჯობესების საკითხს. ამ მიზნით მაისის ბოლო რიცხვებში ჩატარდა პარტიული დღე.

მას წინ უძღოდა სერიოზული მოსამზადებელი მუშაობა, როცა ხელმძღვანელი პარტიული ამხანაგები, ტფილისის კომიტეტის და რაიონული კომიტეტების მომუშავენი გულდასმით და საფუძვლიანად გაეცნენ ამ საკითხზე ც. კ-ის დირექტივებს და როცა ტფილისის კომიტეტმა დასახა შესაფერი ღონისძიებანი, რომელთა განხორციელებას უნდა უზრუნველეყო თვითეულ პირველად პარტორგანიზაციამდე და პარტიის თვითეულ წევრამდე ცენტრალური კომიტეტის დირექტივების დაყვანა. ამავე მიზნით, 22 მაისს რაიონებში ჩატარდა ყველა პარტკომის მდივნების და პარტორგების თათბირი.

პარტიული დღე ამ საკითხზე ჩატარდა მაისის 23—25 რიცხვებში. საკითხის განხილვისას პარტორგანიზაციების უმრავლესობაში გამომჟღავნდა მთელი რიგი თვალსაჩინო ნაკლი პარტიული დოკუმენტების აღრიცხვის და შენახვის დარგში.

პარტიული დოკუმენტების აღრიცხვის და შენახვის ნაკლთა გამომჟღავნებასთან ერთად, პარტიულმა დღემ გამოააშკარავა ცალკე პირები, რომელთაც წინათ ჰქონდათ პარტბილეთები, მაგრამ შემდეგ გარიცხულ იქნენ პარტიის რიგებიდან. აღმოჩნდა ისეთი პირიც, რომელსაც ჰქონდა პარტიული ბილეთი, მაგრამ არ ჰქონდა საალრიცხო ბარათი. უფრო მეტი: იყო შემთხვევა, როცა პარტიის უკვე გარდაცვლილ წევრის ბილეთი ჰქონდათ ნათესავებს, ანდა ინახებოდა სახლში.

პარტდღის შედეგად, ტფილისის პარტორგანიზაციამ დასახა მთელი რიგი ღონისძიებანი თვითეული პირველადი პარტორგანიზაციის მთელი „პარტიული მეურნეობის“ წესრიგში მოსაყვანად და შეუდგა მზადებას მომავალი შემოწმებისათვის.

შემოწმება ტფილისის ორგანიზაციის ყველა რაიონში დაიწყო 23 მაისს. ამ დღეს შემოწმდა 5 პირველადი პარტიული ორგანიზაცია. შემოწმების მეორე დღე იყო 2 ივნისი;

მანამდე კი ტფილისის კომიტეტში მოვიწვიეთ თათბირი, რომელმაც შეაჯამა შემოწმების პირველი დღის შედეგები. ამავე თათბირზე განვმარტეთ ის გაურკვეველი საკითხები, რომელიც შემოწმებისას წამოიჭრა. ასეთივე თათბირი უფრო ფართო შემადგენლობით, ჩვენ მოვიწვიეთ შემდეგაც. ამ თათბირმა, რომელსაც დაესწრო ამხ. კუდრიავცევი, განიხილა შემოწმების პრაქტიკის რამოდენიმე საინტერესო საკითხი და ამხანაგებს მისცა კონკრეტული მითითებანი, რომ თავიდან აგვეცილებია რაიმე შეცდომა შემოწმების მსვლელობისას.

დღესდღეობით ტფილისის ორგანიზაციაში ირიცხება პარტიის 13.892 წევრი და კანდიდატი. მათგან 10.911 წევრია და 2.981 კანდიდატი. ტფილისის კომიტეტმა, რომ ყოველდღიურად იცოდეს შემოწმების მიმდინარეობა და პარტბილეთების ჩამორთმევის ანდა დაკარგვის მიზეზებზე საჭირო დასკვნები გამოიტანოს, შემოიღო ინფორმაციის შესაფერი ფორმა. ეს საშუალებას გვაძლევს ყოველდღე ვიცოდეთ შემოწმების მიმდინარეობა.

21 ივნისს უკვე შემოწმებული იყო 4.435 კაცი — 172 პირველადი პარტორგანიზაცია. ამ ორგანიზაციებში ირიცხება 5.448 კომუნისტი. მათგან 1.013 კაცს შემოწმება არ გაუვლია. მათ შორის არიან უმაღლეს სასწავლებლების კომუნისტები, რომლებმაც დაამთავრეს მეცადინეობა; ბევრი მათგანი წავიდა პრაქტიკაზე ან [illegible].

შემოწმებაზე გამოუცხადებლობა არასაპატიო მიზეზით ძალიან ცოტაა. მაგალითად, სტალინის რაიონში 25 შემთხვევა. ახლა თვითეული რაიკომი გულდასმით არკვევს გამოუცხადებლობის კონკრეტულ მიზეზებს, რადგან ამ ადამიანებს შორის შეიძლება აღმოჩნდენ ზოგიერთები საეჭვო დოკუმენტებით.

ტფილისის პარტორგანიზაციაში ირიცხება 780 კაცი, რომელთაც დაკარგული აქვთ პარტიული ბილეთი. მათგან პარტიის წევრია 686 და კანდიდატი 94. როგორც წესი, მათ ყველას ერთმევა დროებითი მოწმობები. შემდეგ, პირველადი პარტიული ორგანიზაციის მონაწილეობით რაიკომის ბიურო იხილავს მათთვის ახალი პარტიული ბილეთის მიცემის, თუ პარტიის რიგებიდან მათი გარიცხვის საკითხს. ამ საკითხს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს, რადგან იმ კომუნისტებს შორის, რომელთაც დროებითი მოწმობები აქვთ, შეიძლება იყონ ადამიანები ყალბი დოკუმენტებით, რადგან რაიონულ კომიტეტებში ყველაზე ადვილი იყო დროებითი მოწმობისათვის ბლანკის შოვნა. სულ 21 ივნისამდე ჩამორთმეულია 288 დროებითი მოწმობა; მათ შორის მუშებს ჩამოერთვათ 193, გლეხებს 36 და მოსამსახურეებს — 57

რა გვიჩვენა პარტბილეთების შემოწმებამ? მან დაადასტურა, რომ პარტიული ბილეთების მნიშვნელოვანი ნაწილი მოუვლელია, მათში გადასწორებულია გვარები, სახელები, მამის სახელები, პარტსტაჟი და სხვ. ბევრი მათგანი გაჭუჭყიანებულია, ხოლო ზოგიერთში სავსებით გაურკვეველია ბილეთის გამცემი მდივნის გვარი და ბეჭედი.

არის მთელი რიგი ფაქტები, როცა საალრიცხვო ბარათის პუნქტში „ეროვნება“ — აღნიშნულია სომეხი, ხოლო სამხედრო ბილეთში ქართველი. ჯუვაროვას საკანდიდატო ბარათში სტაჟი აღნიშნულია 27 წლიდან, ხოლო თვით ის ამტკიცებს, რომ 32 წლიდან არის კანდიდატი. პარტბილეთი დაუკარგავს ზოგიერთ მდივანსა და პარტორგს. მდივნების და პარტორგების წინასწარმა შემოწმებამ დაადასტურა, რომ მათგან 18 კაცისთვის მოუტაცნიათ, ხოლო ორს დაუკარგავს პარტბილეთი.

იმაში, რომ პარტიული ბილეთები ასე ცუდათ ინახება, რომ მათში გადასწორებულია დაბადების წელი, გვარი და სხ. ცნობები, უმრავლეს შემთხვევაში ბრალი მიუძღვით ჩვენი კომიტეტების აპარატს, რომელიც აწარმოებდა პარტიული ბილეთების გაცემას. ქართულ გვარებში არის შემთხვევა, როცა ერთი ასო სავსებით სცვლის გვარს. ამაში დამნაშავეა ის ადამიანი, რომელმაც შეავსო პარტბილეთი. ჯერჯერობით ჩამორთმეულია 79 პარტიული ბილეთი, მათგან 49 საეჭვოა, ხოლო 30 ისეა გაფუჭებული, რომ უკვე აღარ გამოდგება პარტიულ დოკუმენტათ.

უფრო ცუდი მდგომარეობა გვაქვს საკანდიდატო ბარათების მხრივ. პარტიის 948 კანდიდატიდან 78-ს ბარათი ჩამოერთვა. ეს ბარათები გამოსაცვლელია. მათი ჩამორთმევის მიზეზია გაფუჭება. და აქაც ბრალი მიუძღვით იმ ორგანიზაციებს, რომლებმაც გასცეს ეს საკანდიდატო ბარათები.

სხვათაშორის, უპასპორტოდ, პირადი ბარათის და სამხედრო ბილეთის წარმოუდგენლად შემოწმებას ვერც ერთი კაცი ვერ გაიარს.

შემოწმებისას გამოირკვა აგრეთვე, რომ საალრიცხვო ბარათების მნიშვნელოვანი ნაწილი აშკარად არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია. როგორც წესი, საალრიცხვო ბარათი არ ასახავს კომუნისტის სახეს და იმგვარად არის დაბეჭდილი, რომ ვერ იტევს ერთი ორგანიზაციიდან მეორეში კომუნისტის გადასვლის აღნიშვნას. ესა თუ ის ცნობა აღნიშნულია არა შესაფერ სვეტში, არამედ მთელ ბარათზე, და ყველაფერი ისეა არეული, რომ კაცი ვერაფერს გაიგებს.

დღესდღეობით 91 საალრიცხვო ბარათია გამოსაცვლელი; მაგრამ ცოტაა ისეთი ბარათები, რომლებიც არ მოითხოვდენ დამატებით ცნობებს. ეს ცნობები ჩვენ შეგვაქვს აქტებში, რომელიც დგება პარტიის რაიკომებში.

ორიოდე სიტყვა აქტების შედგენაზე. მათ ცუდათ არ ადგენენ, ზუსტად არის იქ აღნიშნული თვითეული კომუნისტის მდგომარეობა; როცა კაცი წაიკითხავს რომელიმე აქტს, აშკარად წარმოიდგენს, თუ რა მდგომარეობაშია პარტიის ამა თუ იმ წევრის პარტიული დოკუმენტები.

ახლა ჩვენ ვზრუნავთ ამ დოკუმენტების შენახვაზეც. მომავალში, უბედური შემთხვევების დროსაც კი, პარტიული დოკუმენტები მშვენივრად იქნებიან დაცული, რადგან რაიკომებში დადგმულია ცეცხლგამძლე შკაფები, დიდი შკაფები, სადაც შესაფერ ყუთებში ინახება საალრიცხო ბარათები. ახლა თვითეული პირველადი პარტიული ორგანიზაცია ზრუნავს პარტიული დოკუმენტების სამაგალითოთ შენახვაზე.

შემოწმებასთან დაკავშირებით წამოიჭრა აგრეთვე პარტიულ სასჯელთა საკითხი. ახლა ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები არკვევენ, თუ რომელ კომუნისტს დაედვა პარტიული სასჯელი, რომელიც არ არის შეტანილი საალრიცხვო ბარათში. ამასთან დაკავშირებით ბევრი რამ მჟღავნდება. აღმოჩნდა ბევრი კომუნისტი, რომელიც გასამართლებულია, დაპატიმრებულიც ყოფილა 6 თვით, წლით ან უფრო მეტი ხნით, ზოგს პირობითი სასჯელიც კი მიუღია, მაგრამ ეს არსად არ არის აღნიშნული. თუ კომუნისტმა ერთი თვით დააგვიანა საწევრო გადასახადის შეტანა, ამისთვის მას აძლევენ სასჯელს; მაგრამ თუ მას აძლევენ სასამართლო პასუხისგებაში და აღებენ სასჯელს, ეს არსად არ აღინიშნება. რასაკვირველია ასეთი მდგომარეობა ვერ მოგვცემს სრულ წარმოდგენას ამა თუ იმ კომუნისტზე. ახლა ყველაფერი ეს მჟღავნდება და ასეთი ფაქტები აღინიშნება აქტებში, რომ შემდეგ ისინი შეტანილ იქნას პირად ბარათებში.

ამგვარად, ტფილისის პარტიული ორგანიზაცია სერიოზულად ამოწმებს თავის პარტიულ მეურნეობას და თვითეულ კომუნისტის პირად ბარათებს და პარტიულ ბილეთებს. ამ მუშაობას ჩვენ ძირითადათ დავამთავრებთ დაწესებულ ვადებში. მაგრამ შეიძლება კიდევ დარჩეს შეუმოწმებლად თითოოროლა კომუნისტის დოკუმენტები, რადგან მათი პატრონები ამჟამად ტფილისში არ იმყოფებიან. ჩვენ მივიღებთ ყველა ზომას, რომ შემოწმება მათაც გაიარონ.

მიმდინარე შემოწმება, რომელიც ჩვენს წინ შლის „პარტიული მეურნეობის“ ნათელ სურათს, უდიდეს როლს ითამაშებს პარტიული ორგანიზაციების გაწმენდაში აქა იქ კიდევ შერჩენილ საეჭვო ელემენტებისაგან, გააუმჯობესებს თვითეული კომუნისტის პასუხისმგებლობას საკუთარი პარტიული ბილეთის, და თვითეული პარტორგანიზაციის ყოველდღიურ ზრუნვას კომუნისტების პირადი ბარათების კარგად მოვლა-შენახვისათვის. იგი ხელს შეუწყობს კომუნისტების კლასობრივი სიფხიზლის კიდევ უფრო გამახვილებას, რაზედაც მოღალატე ენუქიძის საქმესთან დაკავშირებით ერთხელ კიდევ მიგვითითა საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმმა და ჩვენი პარტიის ბელადმა ამხ. სტალინმა.

# დაიხურა შავი ზღვის ნავთსადგურების მუშაკთა თათბირი

**ბათომი**, 27 ივნისი. 26 ივნისს, ღამით, დაიხურა შავი ზღვის კავკასიის და ამიერ - კავკასიის ნავთსადგურების მუშაკთა თათბირი.

თათბირმა მოისმინა შავი ზღვის სანაოსნო სამმართველოს უფროსის ამხ. მაგონის მოხსენება ფლოტის ავარიებისა და გაცდენების შესახებ. მოხსენების გარშემო გამართულ კამათში გამოვიდა 25 კაცი.

თათბირის დასასრულს ამიერკავკასიის ნავთსადგურების მუშაკთა ამოცანების შესახებ დიდი სიტყვა წარმოსთქვა საქ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის სამრეწველო-სატრანსპორტო განყოფილების გამგემ ამხ. დარახველიძემ.

თათბირმა მიიღო გადაწყვეტილება, რომელშიაც აღნიშნულია, რომ გასულ თვეში ამხ. პახომოვის ბრძანების გამოცემის შემდეგ არც გემებს, არც ნავთსადგურებს, არც მთლიანად სანაოსნო სამმართველოს არ ჩაუტარებიათ საჭირო ღონისძიებანი ამხ. პახომოვის ბრძანებათა რეალიზაციისათვის, არ მომხდარა გარდატეხა გემთა მიმოსვლის დაჩქარების და ავარიების შემცირების საქმეში. თათბირმა დაავალა ნავთსადგურთა სამკუთხედებს ყოველგვარი ზომები მიიღონ იმისათვის, რომ დაუყოვნებლივ მოიყვანონ წესრიგში სანავთსადგურო მეურნეობა და თვალსაჩინო შედეგებს მიაღწიონ გაცდენებისა და ავარიების წინააღმდეგ ბრძოლაში; აგრეთვე 5 დღის ვადაში შეამოწმონ დასაცავი ნიშნები. თათბირმა გადასწყვიტა ივლისიდან შემოღებულ იქნას მუშაობის ანაზღაურების საკორდო სისტემა. დასახულია მთელი რიგი სხვა ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ ამხ. პახომოვის ბრძანებათა შესრულებას ადგილობრივ პირობებთან შეფარდებით. (აღს).

# ჩამორჩენას ბოლო მოვუღოთ

სახელმწიფო შემოსავალს 1935 წელს უდიდესი ადგილი უჭირავს როგორც საკავშირო, ისე რესპუბლიკურ ბიუჯეტთა საშემოსავლო ნაწილში. ეს ის შემოსავალია, რომელსაც სახელმწიფო განსაზოგადოებულ სექტორის საწარმოებისაგან იღებს. (ბრუნვის გადასახადი, მოგების ანარიცხები და საშემოსავლო გადასახადი). აღნიშნული სახის შემოსავალი 1935 წელს საბჭოთა კავშირის მთლიან სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილში 80 პროცენტზე მეტს შეადგენს.

აქედან ცხადია, თუ რა უდიდესი პასუხისმგებლობა აქვთ დაკისრებული, როგორც საფინანსო სისტემას, ისე სამეურნეო ორგანიზაციებს, რომ კანონით გათვალისწინებული გადასახადები დროზე და ზუსტად გადაეცეს სახელმწიფოს.

როგორ იბრძვის ჩვენი საფინანსო სისტემა ამ გეგმების შესასრულებლად? როგორ ასრულებენ თავიანთ მოვალეობას ჩვენი სამეურნეო ორგანიზაციები?

1935 წლის პირველი კვარტალის გეგმა სახელმწიფო შემოსავლის დარგში საქართველომ 81,4 პროც. შეასრულა ეს იმ დროს, როდესაც პირველი აპრილისათვის სახელმწიფო შემოსავალთა ნარჩენის ჯამი მთელ რესპუბლიკაში 15 მილიონ მანეთს აღემატებოდა.

რაც შეეხება ავტონომიურ რესპუბლიკებს და რაიონებს, მათ პირველი აპრილისათვის 7 მილიონ მანეთამდე ნარჩენები ჰქონდათ.

სანუგეშო მდგომარეობა არც მეორე კვარტალშია. მეორე კვარტალის გეგმა სახ. შემოსავლის ხაზით ა.-წ. 10 ივნისისათვის 70,4 პროც. არის შესრულებული, დანაკლისი 7,3 პროც. უდრის, ნარჩენები ა.-წ. 10 ივნისისათვის გაიზარდა 19.500.000 მანეთამდე წინააღმდეგ 15 მილიონი მანეთისა პირველ აპრილს.

ეს მდგომარეობა გვიჩვენებს, რომ როგორც ჩვენი საფინანსო სისტემა, ისე ზოგიერთი სამეურნეო ორგანიზაციის ხელმძღვანელები ბოლშევიკურად არ იბრძვიან გეგმების შესასრულებლად და კანონით დაკისრებული მოვალეობის მოსახდელად. ესენი ჯერ კიდევ ჯეროვნად ვერ აფასებენ ამ საქმის დიდ პოლიტიკურ და ფინანსიურ მნიშვნელობას.

არიან ორგანიზაციები, რომლებიც საფინანსო ორგანოებს შეგნებულად უმალავენ დასაბეგრ ბრუნვას, არ ურდგენენ სწორ ცნობებს, რათა თავიდან აიცილონ კანონიერი გადასახადები. ასეთი ორგანიზაციაა ქუთაისში — ქუთსოფმრეწვი და მთელი რიგი ინვალიდთა არტელები და სხვა. მსგავს მდგომარეობას ვხედავთ სხვა რაიონებშიც.

უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლოს ორგანოები ზოგ შემთხვევაში გულგრილობას იჩენენ დამნაშავეთა დასჯაში. მთელი სიმკაცრით უნდა დაისაჯნენ ის პირნი, რომელნიც ატყუებენ სახელმწიფოს, არ აძლევენ ზვედრ გადასახადებს და ამით ხელს უშლიან მას ჩვენი სახალხო მეურნეობის გეგმიან დაფინანსებაში.

რაიონებში ზოგიერთი ხელმძღვანელი ამხანაგი ამ საქმის შეუფასებლობას იჩენს. ისინი ადგილობრივ საფინანსო აპარატს უკანონო განკარგულებებს აძლევენ — არ გადაახდევინონ მთლიანად, ან სრულიად არ დაბეგრონ ესა თუ ის სამეურნეო ორგანიზაცია. დროა ამას ბოლო მოეღოს. ყოველგვარი დავალება, როგორც საფინანსო, ისე სხვა დარგში უნდა შევასრულოთ ზუსტად და რევოლუციური კანონიერების დაცვით.

ა. არაბიძე

# ასე „ვემზადებით" სამოსწავლო წლისათვის

## (ხობის რაიონი)

ორი წლის წინათ განიზრახეს ხობში სრული საშუალო სკოლის შენობის აგება.

გასულ წელს, სრულიად მოუმზადებლად და საშენი მასალის მოუმარაგებლად, დაიწყეს მშენებლობა. ძლივს მოახერხეს ერთი სართულის აგება. საშენი მასალა (აგური, კირი) შემოელიათ. ზამთარმაც მოუსწრო. მშენებლობა შესწყდა.

მიმდინარე წლის გაზაფხულზე განაახლეს მშენებლობა ისე, რომ არ მოუმარაგებიათ ხის მასალა. დაიწყო წვიმები. ახლად აშენებული კედლები გაიბზარა და შენობა ინგრევა.

ხობის სრული საშუალო სკოლა ახალ სასწავლო წელს მოუმზადებელი ხვდება.

ნოე კუჭავა



კარაიას მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობას წელს ახალები აქვს პურეული 400 ჰექტარზე. სურათზე: ამხ. ჩიჟიკი, საუკეთესო მომუშავე ძნის საკონ მანქანაზე. დღეში გეგმით დაწესებულ 10 ჰექტარის ნაცვლად მოსავალს იღებს 12—13 ჰექტარზე.

# ჭიათურის რაიონი ებრძვის უგზოობას

საქართველოს ბარის არცერთ რაიონში არ გვეგულება ისეთი ძნელი პირობები გზების მშენებლობისათვის, როგორც ჭიათურის რაიონში. რომელი მიმართულებითაც უნდა განიზრახოთ აქ გზის გაყვანა, აუცილებლად კლდეს წააწყდებით. ადამიანი უძლურია მხოლოდ საკუთარი ღონით გაკაფოს გზა ამ კლდეებში, საჭირო ხდება კლდეთა აფეთქება.

და მართლაც, ახლა რომ ჭიათურაში მოხვდეთ ბრძოლის ველი გეგონებათ. არაჩვეულებრივი საგზაო მშენებლობაა გაჩაღებული, ამონალით ანგრევენ კლდეებს და სჭრიან მომავალი ახალი გზების ტრასებს.

ორი მიმართულებით წარმოებს გზების გაყვანა რაიონში. ერთი მხრივ შენდება სამრეწველო გზები, მარგანეცის ტრესტისა, ხოლო მეორე მხრივ საგზაო სამუშაოს ეწევა რაიონის საგზაო განყოფილება, მოსახლეობის შრომითი მონაწილეობის წესით.

სამრეწველო გზების დანიშნულებაა — საავტომობილო გზით მაღარო-ქარხნების ჭიათურასთან დაკავშირება. სულ წელს განზრახულია ასეთი გზების გაყვანა 12 კილომეტრზე: ჭიათურა — ეწერი — თხილისწყალის მიმართულებით (6½ კილომეტრი), ჭიათურა — თაბაგრება, რომელიც მიდის № 17 და 18 მაღაროებში (2 ½ კილომეტრი), და ჭიათურა — მაღარო № 2—3 (3 კილომეტრი). ყველა ამ გზაზე სამუშაოს აწარმოებს საქგზატრანსი მარგანეცის ტრესტის ხარჯზე, რომელიც უზრუნველყოფს მშენებლობას საჭირო თანხებით. წელს ტრესტს ამ მიზნისათვის გადადებული აქვს 1.400 მანეთი.

ჭიათურა — ეწერი — თხილისწყალის გზის გაყვანა, რომელიც მიდის № 25 ქარხანა — მაღაროში, ხელშეკრულების საფუძველზე დაკისრებული აქვს საქართველოს „ავტოგზის" საგზაო სექციას, რომელიც, უნდა ითქვას ცუდად როდი მუშაობს. მშენებლობა უზრუნველყოფილია მუშახელით და მშენებლებს მტკიცე გადაწყვეტილება აქვთ, ნაკისრი საქმე მაღალხარისხოვნად შეასრულონ.

სამრეწველო გზებზე მიწისა და კლდის სამუშაო უკვე 50 პროცენტით არის შესრულებული და ახლა დაწყებულია გზის ქერქის დამუშავება სატკეპნი მანქანებით.

ხელშეკრულების საფუძველზე ტრესტისათვის საგზაო სამუშაოებს აწარმოებს რაიონის საგზაო განყოფილებაც. იგი აფართოებს ჭიათურა — საჩხერის გზას 4 კილომეტრის მანძილზე.

რაც შეეხება გზების სარაიონო ქსელს, რომელიც მოსახლეობის შრომითი მონაწილეობით შენდება, ამ მხრივ რაიონის საგზაო განყოფილებას წელს გათვალისწინებული აქვს შემდეგი გზების გაყვანა: ჭიათურა — საჩხერე — 13 კილომეტრი (მიმდინარეობს გზის გაფართოება მთელ მანძილზე), საჩხერე — ჰალა — პერევისა — 15 კილომეტრი, სამხრეთ — ოსეთის საზღვრამდე; საჩხერე — კორბოული — ჯვარი — 35 კილომეტრი, ქართლის საზღვრებამდე (ამ გზის ნაწილი შეიცავს ძველ ულევის გზის ტრასას, რომლის აღდგენაც ახლა ხდება: არგვეთი — ცხამი (5 კილომეტრი, სრულიად ახალი გზა), ჭიათურა — კაცხი — დილიკაური, 18 კილომეტრი, უერთდება ჩხარისა და ზესტაფონის რაიონებს; ჭიათურა — პერევისა — მერევი — 8 კილომეტრი და საჩხერე-საირხე, 3 ნახ. კილომეტრი, სრულიად ახალი გზა, შენდება გეგმის ზევით, შაბათობების წესით.

ამ სამუშაოებზე უნდა დაიხარჯოს 70.815 შრომა-დღე და 75.967 საქონელდღე, რაც ფულზე გადაყვანით, პირობითი ფასებში შეადგენს 330.000 მანეთს.

ამ რესურსებით ჩამოთვლილ გზებზე, გარდა მიწისა და კლდის სამუშაოებისა, უნდა შეკეთდეს ოთხი ხიდი — 45 გრძივი მეტრის საერთო სიგრძისა და 24 მილი — საერთოდ 38 მეტრი.

რაიონმა თესვის კამპანიის დამთავრებისას მოაწყო სპეციალური საგზაო მშენებლობის შვიდღიური, გზებზე მასობრივად გამოიყვანა ხალხი და უზრუნველჰყო შრომითი მონაწილეობის წლიური გეგმის შესრულება 60 პროცენტით. შესრულდა მიწისა და კლდის დიდი სამუშაოები. აიგო 12 მეტრიანი ხიდი სოფ ხრეითში, მდ. ქვასაინაზე, 9 მეტრიანი ხიდი ქვაცხის თემში, ბონდი — წირქვალის თემში, მდ. ჰრუჰულაზე, კაპიტალურად შეაკეთეს ხიდი ამავე მდინარეზე, ჭიათურა — საჩხერის გზაზე და გააკეთეს 6 მილი — საერთოდ 6 ½ მეტრი. ყველა დანარჩენ ხელოვნურ ნაგებობათა მშენებლობისათვის საჭირო მასალა უკვე დამზადებულია.

ძირეული ტექნიკური კადრებით მშენებლობის უზრუნველყოფის მიზნით წელს რაიონში მოწყობილი იყო სპეციალური კურსები სოფსაბჭოების საგზაო რწმუნებულებისა და საკოლმეურნეო საგზაო ბრიგადირების მოსამზადებლად. მომზადდა სულ 28 კაცი. და ყველა ისინი გამოყენებული არიან სოფლებში, მათი ზედამხედველობით მიმდინარეობს ადგილებზე საგზაო სამუშაოები.

რაიონის საგზაო განყოფილებამ თავისი ინიციატივით გადაწყვიტა წელს საავტომობილო გზის მიყვანა მგოსან აკაკი წერეთლის სახლამდე და მუშაობასაც შეუდგა, რაც უთუოდ მოსაწონი ინიციატივაა.

საერთოდ, საგზაო მშენებლობა რაიონში წელს ფართო მასშტაბით არის გაშლილი. რაიონის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები დიდად არიან დაინტერესებული ამ საქმით და უახლოეს, აქტიურ ხელმძღვანელობას უწევენ მას. რაიონში სულ 27 თემია. აქედან წლევანდელი გეგმის შესრულებით შესაძლებელი ხდება რაიონის ცენტრის დაკავშირება საავტომობილო გზით 20 თემთან.

მასშტაბი დიდია აღებული, მონდომებაც არის, მოსახლეობაც დაინტერესებულია და ხალისით გამოდის გზებზე სამუშაოდ, მაგრამ ნაკლი, რაც ტექნიკური ხელმძღვანელობის სისუსტეში მდგომარეობს, მაინც შესამჩნევია. რაიონი ამ გრანდიოზულ და რთულ სამუშაოებს აწარმოებს ისე, რომ არა ჰყავს მაღალკვალიფიციური ტექნიკური ხელმძღვანელობა. მთელ მუშაობას რაიონში ტექნიკოსი ხელმძღვანელობს. მართალია ტექნიკოსი გამოცდილია, მაგრამ, ცხადია, მას არ შეგვიძლია მოვთხოვოთ იგივე, რასაც ინჟენერს მოვთხოვთ. ტექნიკური ხელმძღვანელობის ეს სისუსტე უკვე ახლავეა შესამჩნევი, გზები ბევრგან ტექნიკური დეფექტებით შენდება (ნორმაზე მეტი ქანობები, ტრასის არასწორი მიმართულება, არასწორი რადიუსები და სხვ.).

რაიონის ხელმძღვანელმა ორგანიზაციებმა ახლავე უნდა მიიღონ ზომები ამ ნაკლის გამოსასწორებლად. ჭიათურის რაიონში საგზაო მშენებლობის სამუშაოების წარმოება მეტად რთული და პასუხსაგები საქმეა და ამიტომ იგი უზრუნველყოფილი უნდა იქნას მაღალკვალიფიციური ტექნიკური ხელმძღვანელობით.

ეს აუცილებელია.

ან. ქელენჯერიძე



ეროვნული ბიბლიოთეკა

ბათომის ბულვარი

# ოქროს მორევი

მზემ გაშალა ცეცხლის ბადე
აფრქვევს ვერცხლის ზოლებს,
გულკახეთის ფართე სივრცე
აგავს ოქროს მორევს.

და შუაში ვერცხლად მოდის
მოკრიალე წყალი:
თითქოს იყვეს საკაძის
გალესილი ხმალი.

გულს იტაცებს ეს შირაქი
და ეს აოაზანი:
ისტორიის ქარტეხილის
ზურგით გადამტანი...

ოქროს ვარდათ გადაშლილა
მინდვრები და მდელო,
აბა, გულმა როგორ გასძლოს
ლექსი არ ვიმღერო.

გვახსოვს სისხლით ირწყვებოდა
ეს კახეთის ველი,
დღეს კი მასაც მისწვდენია
განახლების ხელი.

ოქროს ჯეჯილს დაუფარავს
გულკახეთის წელი,
შემოსული თავთავები
კომბაინებს ელის!...

და ჩვენც მინდვრად გამოვედით
სამუშაოთ ყველა,
დამწიფებულ პურის ყანებს
უნდა მალე შველა.

რომ არ დარჩეს აუღებლად
ველზე ერთი ღერიც
საბრძოლველად გამოუშვით
მინდვრის კრეისერი.

სიმონ ზერგიშვილი.

# მთავარია დასაბეგრ ობიექტების აღრიცხვა

დასაბეგრი ობიექტების სწორად და დროზე აღრიცხვა სასოფლო სამეურნეო გადასახადის კამპანიის კარგად ჩატარების უმთავრესი პირობაა.

ამ ობიექტების აღრიცხვა საქართველოში 6—10 ივნისს დაიწყო. ადგილებიდან მიღებული მასალები საშუალებას გვაძლევს ზოგიერთი დასკვნა გამოვიტანოთ იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობს ეს აღრიცხვა.

საგარეჯოს რაიფინგანმა დასაბეგრი ობიექტები შარშან ძალიან უხეიროდ აღრიცხა. იგი არც ახლა ღებულობს სათანადო ზომებს, რომ თავიდან აიცილოს შეცდომა - დამახინჯებანი. ზოგ რაიონულ ორგანიზაციას აქამდე არ მიუმაგრებიათ სოფლებზე თავისი წარმომადგენლები, რომლებიც თვალყურს უნდა ადევნებდნენ და ხელმძღვანელობდნენ აღრიცხვას. მთელი ეს საქმე მარტო ფინგანს აქვს დაკისრებული.

კულაკურ მეურნეობათა გამომჟღავნება საერთოდ სუსტად მიმდინარეობს.

ჩოხატაურის რაიონში დასაბეგრ ობიექტების აღრიცხვის კამპანიისათვის წინასწარ არ მოუმზადებიათ საჭირო მასალები. ტფილისის, საგარეჯოს, ჩოხატაურის, წალკის რაიონების მიწგანებს აქამდე არ აღურიცხავთ, თუ როგორ შეასრულეს გეგმები ცალკეულ მეურნეობებმა. უამისოდ კი შეუძლებელია გამორკვევა, თუ რა ფართობი აქვს დათესილი, გეგმის გადამეტებით, ერთპიროვნულ მეურნეს.

იანვარში ჩატარებულ პირუტყვის აღრიცხვის მასალებს სახმეურნეობის აღრიცხვის სამმართველოში მოუყარეს თავი. ეს მასალები ადგილებისათვის მალე უნდა დაებრუნებინათ. მაგრამ ძალიან დააგვიანეს (ჩოხატაურის რაიონმა ეს მასალები მხოლოდ 12 ივნისს მიიღო), ეს კი აფერხებს პირუტყვის დროულად აღრიცხვას.

საგარეჯოს, წალკის, ბოლდადის რაიონებმა საკომლო დავთრების ბლანკები დაგვიანებით მიიღეს და დავთრების შედგენა ჯერ კიდევ მოთავებული არა აქვთ.

საგაზაფხულო საძოვრებზე გარეკილ პირუტყვის აღრიცხვას დიდი დრო სჭირია. ამიტომ ადრე უნდა შევუდგომოდით საქმეს, რომ დანიშნულ ვადაში აუცილებლად მოგვეთავებინა იგი. ახალქალაქის, საგარეჯოს და ზოგიერთ სხვა რაიონში ამას ანგარიშს არ უწევენ და იალაღებზე გარეკილ პირუტყვის აღრიცხვას ძალზე აგვიანებენ.

საგარეჯოს და ყარაიას რაიონებიდან იტყობინებიან, რომ იქ გამოაშკარავებულია დასაბეგრი ობიექტების გადამალვა. ამ გზით კულაკური მეურნეობები და მათი გავლენის ქვეშ მყოფი გადამხდელები ცდილობენ გადასახადს თავი დააძვრინონ.

ასეთ მოვლენებს დაუნდობელი ბრძოლა უნდა გამოვუცხადოთ. დასაბეგრი ობიექტების გადამმალველი მიცემული უნდა იქნას პასუხისგებაში, როგორც სახელმწიფოს მომტყუებელი და სასტიკად უნდა დაისაჯოს.

აღრიცხვის ვადა მიიწურა. რაიონულმა ორგანიზაციებმა ყოველგვარი ზომა უნდა იხმარონ და შემჩნეული ნაკლი სასწრაფოდ გამოასწორონ.

მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს არასამიწათმოქმედო და საბაზრო (პროდუქტების გაყიდვით მიღებულ) შემოსავლის მთლიანად აღრიცხვას.

სას. სამეურნეო გადასახადმა ხელი უნდა შეუწყოს საწარმოო დავალებათა (გეგმების) მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებას. ამიტომ დაუნდობლად უნდა ვამხილოთ ასეთი მეურნეობები, რომლებიც ბოროტგანზრახვით არ ასრულებენ სახელმწიფოს დავალებებს.

დასაბეგრი ობიექტების აღრიცხვა უნდა გათავდეს აუცილებლად მაღალხარისხოვნად დანიშნულ ვადაზე — 1 ივლისისათვის.

კ—ია.

# ვინ არღვევს ფასების პოლიტიკას

საქონელბრუნვის დაჩქარების და კულტურული ვაჭრობის განმტკიცების ერთერთ მთავარ პირობას ზომა-წონის ნორმათა და ფასების საბჭოთა პოლიტიკის მტკიცედ გატარება წარმოადგენს.

სამწუხაროდ, ზოგიერთი ჩვენი სავაჭრო ორგანიზაციის მუშაკს ვერ შეუგნია ეს ჭეშმარიტება, ვერ გარდუქმნია საქმიანობა და თავისი უხეირო მუშაობით გამოწვეულ ჩამორჩენის მიჩქმალვის მიზნით უმატებს საქონელს ფასს.

ამას ნათლად გვიჩვენებს ფასების ინსპექციის მასალებიდან ამოკრებილი ფაქტები:

ინვალიდთა კოოპერატიული არტელი (ტფილისში) „ინვ. შრომა" (თავმჯდომარე გვილავა) სატრიკოტაჟო ნაწარმზე 14—21 პროცენტის ნაცვლად არიცხავს 46 პროცენტს და ამ გზით მომხმარებლებისაგან ზედმეტად აღებული აქვს 4200 მანეთი. არტელი „პირველი მაისი" კილოგრამ სუფრისმარილს 12 კაპეიკის ნაცვლად ყიდის 30 კაპეიკად და მომხმარებლებისაგან ზედმეტად აქვს აღებული 35.020 მანეთი. ბორჯომის საქვაჭრობის განყოფილება (გამგე შლაუტაშვილი) ნავთქურას 14 მან. 50 კაპეიკის ნაცვლად ყიდის 16 მანეთად, ჩითს — 2 მან. 80 კაპ. ნაცვლად — 3 მან. 50 — კაპ. ხოლო კრეპს 1 მან. 80 კაპ. ნაცვლად 2 მან. 50 — კაპეიკად. ამ საქონელში მომხმარებლებისათვის ზედმეტად გადაუხდევინებია — 2098 მანეთი.

წალვერის სოფლის კოოპერატივი არღვევს სარეცხის საპნის, ფართლის ფასს და მომხმარებლებისათვის უკანასკნელი კვირეების განმავლობაში ზედმეტად გადაუხდევინებიათ 370 მანეთი.

ბორჯომის ქალაქის კოოპერატივი საწვიმრებს 61 მანეთის ნაცვლად ყიდის 65 მანეთად და სხვა.

ფასების პოლიტიკის დარღვევის შემთხვევები აღმოჩენილია ხაშურის რაიონშიც. ხაშურის კოოპერატივი (თავმჯდომარე ქურდაძე) კალოშებს 13 მანეთის ნაცვლად ყიდის 15 მანეთად. გადიდებულ ფასებში ყიდის აგრეთვე სარეცხის საპონს, თევზს და მომხმარებლებისათვის ზედმეტად გადაუხდევინებია 511 მანეთი.

იქვე საქვაჭრობის განყოფილება (მმართველი ნოზაძე) გადიდებულ ფასად ყიდის საოჯახო საპონს, კომერციულ ტანსაცმელს, თავშალს, საზნებს, ნავთქურას და სხვა, რომლებშიაც მომხმარებლებისათვის ზედმეტად გადაუხდევინებია 3392 მანეთი. აღსანიშნავია ისიც, რომ ეს სავაჭრო თევზეულს ყიდულობს კერძო პირებისაგან და ორმაგ ფასად ყიდის.

ფასების საბჭოთა პოლიტიკას ამახინჯებს აგრეთვე ხაშურის ინვალიდთა კოოპერაცია (თავმჯდომარე ჯიბლაძე) რომელსაც უკანასკნელი კვირეების განმავლობაში ფასების პოლიტიკის გადიდების გზით მომხმარებლებისაგან ზედმეტად აქვს აღებული 1432 მანეთი.

არ კმარა ფასების დამრღვევ ორგანიზაციებს ზედმეტად აღებული ფული სახელმწიფო შემოსავალში შეატანინონ. საჭიროა პერსონალურად აგებინონ პასუხი იმ ადამიანებს, რომლებიც დამნაშავე არიან ფასების დარღვევაში, რომ ამ ზომამ აღმზრდელობითი გავლენა იქონიოს სავაჭრო ორგანიზაციების დანარჩენ მუშაკებისათვის. აგრეთვე საჭიროა ძირეული კონტროლის მუშაობის გაძლიერება, რომ ფასების პოლიტიკის დამახინჯება თავშივე აღიკვეთოს.

ნ. ტყემალაძე

ჩვენი ქალაქები

# ზღვისა და ხმელეთის ნებიერი ქალაქი

ლევ. მეტრეველი

საქართველოს შავვერემან ნახეს მრავალი ხალი ამშვენებს ნაირ-ნაირი მომხიბლველობით.

სოხუმიც ერთი ასეთი ხალთაგანია.

როცა ქალაქის სურათს ვაფერადებთ მხატვრულ სიტყვაში, შემდეგი ფხიზელი აზრები დაგვეფრენენ თავზე მიმინოსავით.

როგორ შეარყია ოქტომბრის რევოლუციის მიწისძვრამ მისი არსებობა?.

როგორ შეიჭრა ბოლშევიკური იდეების გახელებული ქარიშხალი მის ცხოვრებაში?.

რა ღირებულებას წარმოადგენს იგი? სოციალისტურ სამშობლოს მიწა - წყალზე?.

როგორ აამუშავა ახალმა ეპოქამ მისი სიცოცხლის ძარღვები?

როგორ იცვლის სახეს სოციალისტური მშენებლობის გრანდიოზულ მოვლენებში?.

გულუხვი ბუნებით აფერადებულ სოხუმის მკერდზე ვერ დაინახავთ მხარ-მეჭიან ფაბრიკა - ქარხნებს.

საყვირების ხმა არ დაჭენაობს აქაური ცის გუმბათის ქვეშ. გულდამშვიდებულ მყუდროებას არ აწუხებს არც მანქანების დაუზარელი ქქანი, არც ნავთსადგურის შეუწყვეტელი აურ-ზაური.

საწარმოო მუშების მწყობრი რაზმები არ დადიან აქაურ ქუჩებში, რომ თავიანთი სიმხნევით აელექტრონებდნენ ქალაქის ცხოვრებას.

მიუხედავად ამისა, სოხუმი მაინც უდიდესი ქარხანაა. უმშვენიერესი ქარხანა მშრომელთა ჯანმრთელობისა, — ხალისიანი ცხოვრებისა და მოსვენებისა.

— ბოლოს უნდა გავიგოთ, რომ ქვეყნიერებაზე არსებულ ძვირფას კაპიტალთა შორის ყველაზე უძვირფასეს და ყველზე გადამწყვეტ კაპიტალს ადამიანები, კადრები წარმოადგენენ.

ასე არწივისებურ მოაფრენს ახალ ლოზუნგს მშრომელთა ბელის უდიდესი ოქრომჭედელი.

ადამიანები, კადრები ჰქმნიან ახალ, ჯანსაღ, ბედნიერ მსოფლიოს.

მათი დაუშრეტელი ენერგიით, დაუჩრდილავი იდეების ბრწყინვალებით საბჭოების ქვეყანა ჰაბუკურის მრისხანებით აღმართულა ულხინებელი ბურჟუაზიული მსოფლიოს წინაშე.

დიდია საკაცობრიო ამოცანა პროლეტარული სახელმწიფოსი. დიდია მოვალეობა აქაური მშრომელი ადამიანებისა და კადრებისა.

მაგრამ თავგამოდებულ შრომაში საკაცობრიო ბედიღბლის ჭედვაში ჩვენც გვეჭირება წუთიერი შესვენება, დაუზარკავი ჯანღონის აღდგენა, რომ შრომისა და შემოქმედების ახალი ნახტომი უფრო გამბედავად გადავავლოთ, უფრო ძლიერად.

სოხუმი ერთი იმ რჩეული ადგილთაგანია, სადაც ეს ადამიანები და კადრები გადაჭარბებით ინაზღაურებენ დახარჯულ ენერგიას.

ზღვასა და ხმელეთს კავკასიონის ამაყი ქედების თანადასწრებით აქ შეუქმნიათ ნატვრის თვალით გამოსარჩევი ნებიერი კუთხე.

აქა ხარობენ შორეული თბილი ქვეყნების ყვავილები და მცენარეები. აქა ხარობს გულსავსედ ფერადფერადი ნუგბარი ხილეულობა. აქა ხარობენ ბედნიერი ქვეყნის ბედნიერი შვილებიც ჯანით, ღონით, გუნებითა და მოსვენებით.

სწორედ ამიტომ სანატორიუმები, დასასვენებელი სახლები სოხუმისათვის წარმოადგენენ სრულიად ბუნებრივ მოვლენას, მის არსებობაში განუყრელად ჩაქსოვილ ამბავს.

ჩრდილოეთით ახალი ათონი—ეს ხომ დაუშორებელი ნაწილია სოხუმისა ეს სრულიად განსაკუთრებული და თვისებური პატარა ქალაქია იშვიათი დასასვენებელი სახლებითა და სანატორიუმებით.

სამხრეთით კიდევ გიგანტურ ტალღად შექანებული ტროპიკული ჭალების სიღრმიდან ტყუპი დრედნოუტებივით ამოცურებულან უკვე სახელმოხვეჭილი გულრიპშის სანატორიუმები.

ერთგანაც და მეორეგანაც ყოველთვე რამდენიმე ათასი მუშაკი ისვენებს — ხელისუფლების მზრუნველობით გარშემოტყმული.

ესენი არიან ყველაზე უდიდესი „სარემონტო ქარხნები" ყველაზე უძვირფასესი კაპიტალისათვის — ადამიანებისა და კადრებისათვის.

ყველა ამათ თავისი სილამაზითა და კეთილმოწყობით სათავეში ჩაუდგება საკავშირო ცაკის მიერ საგანგებოდ აგებული სინოპის დასასვენებელი სახლი, თითქოს ეშმაკის—ავი თვალი არავინ დაადგასო — იგი მიუკარებელ მზეთუნახავივით ჩამალულა შორეთის მცენარეულობის ბაღნარში. და საერთოდ მთელი სოხუმი განა იგივე დასასვენებელი სახლი და სანატორიუმი არ არის!

განა გვერდშექცეული მოფირუზო ზღვა თავისი ჰაერით არ ასულდგმულებს იოგვლივ კალთებდაფენილი მთების ყოველ ნაწიბურს!.

განა ამ ზღვასა და მთებშუა სიყვარულით შებოჭილი მზე თანაბრად არ ასათუთებს ყოველ მცენარეს, ყოველ სულდგმულს, ყოველ არსებას.

განა აქაური ნიადაგის ყოველი ნაბიჯი სილამაზისა და სიუხვის მამხილებელი არ არის?

და გაუხედნავი სტიქიონებიც იშვიათად შეაშფოთებენ ხოლმე აქაურ მყუდროებას.

ისტორიის მიერ თითქოს სამარადისოდ განწირული აფხაზეთის ცამ მოძმე საქართველოსთან ერთად მხოლოდ გასაბჭოების შემდეგ იწყო ბრწყინვალება სოციალიზმის მზით.

თუ სოხუმი საკავშირო მასშტაბით ჯანმრთელობის უმშვენიერეს ქარხანას წარმოადგენს, ამავე დროს აფხაზეთისათვის იგი არის ეროვნული გამოფხიზლებისა და სოციალისტური მშენებლობის მთავარი კერა.

მთელ აფხაზეთს ცხოველმყოფელი მზესავით სოხუმიდან ეფინება ფორმით ნაციონალური და შინაარსით ინტერნაციონალური იდეები. ეს იდეები გაუცდენლად ემყნობიან აფხაზეთის ნოყიერ ნიადაგს.

აქაური მშრომელები უფრო და უფრო მეტის თავგამოდებით მიაბიჯებენ დღევანდელ დიად მონაპოვართა შორის — ახალ და უმეტეს გამარჯვებათა მოსახვეჭად.

დიადი მიზნებით ფრთაასხმული ცხოვრების რაში აქაც ძველი მსოფლიოს ზარდამცემი ჭიხვინით მიაჭენებს ისევე ტორ-შეუშლელად, როგორაც მთელ საბჭოთა კავშირში.

და აფხაზეთს ასეთ გარდაქმნასა, წინსვლასა და გამარჯვებაში რასაკვირველია სოხუმი უნდა მეთაურობდეს!.

აქ იზრდებიან ცოდნით, იარაღდებიან სოციალისტური იდეების რწმენითა და უძლეველობით ახალი კადრები.

სხვა სასწავლებელთა შორის სრულიად განსაკუთრებულ სიმაღლეზე სდგას ეთერ-ზეთოვანი კულტურებისა და სუბტროპიკული მოსავლიანობის სრულიად საკავშირო ინსტიტუტი.

აქაური ხუთასი სტუდენტი, თითქოს თითით დაურჩევიათო, შერჩეულია სიბეჯითითა და სწავლის სახარბიელო წყურვილით. ნახევრამდის ქართველები არიან. დანარჩენი რუსები, აფხაზები და სხვა ეროვნებისა. აქ არის ოცამდე აჭარელი ქოჩორა ბიჭიც, რომლებიც საამაყოდ მიაჩნიათ ინსტიტუტის ხელმძღვანელებს.

ან რატომღაც არ უნდა სწავლობდნენ ხალისით სტუდენტები? იშვიათ ყოველმხრივი ხელშეწყობით არიან გარშემორტყმული. თითქმის ყველანი იღებენ სტიპენდიას და ცხოვრობენ საუცხოვოდ მოწყობილ საერთო საცხოვრებლებში.

ამას ზედ დაურთეთ საგანგებოდ შერჩეული კოლექტივი ხელმძღვანელებისა და მაშინ გასაგები ხდება ამ ინსტიტუტის სასახელო წარმატება.

ამავე ინსტიტუტში მიმდინარეობს მოლოდინით ალსავსე დაუღალავი მუშაობა ახლად მიგნებული მეთოდის გამოყენებაზე ლიმონ-მანდარინის ხანგრძლივად შენახვისათვის, ხორცეულობის გაუხრწნელობისათდა სხვა მრავალმხრივი სარგებლობისათვის.

აქვე არის სამეცნიერო - საკვლევო ინსტიტუტი, რომელსაც საგანგებო მნიშვნელობა აქვს აფხაზეთის ისტორიისა და კულტურის დამკვიდრებაში.

ქალაქის ლამაზ საქორეზე მოწყობილია მაიმუნების საშენებელი. თავიანთი სამშობლოს მსგავსი ბუნების წიაღში ისინი თითქოს ღარა გრძნობენ ტყვეობას და მრავლდებიან კიდეც, უკვე მოშენებულია ორი თაობა. მაგრამ ესენი გასართობად, საჩვენებლად კი არ არიან მოშენებული. მათზე აწარმოებენ სამეცნიერო - სამედიცინო ცდებსა და კვლევა-ძიებას, რითაც კიდევ ზედ-მეტად ფართოვდება საბჭოთა მეცნიერების საზღვრები. პირველივე გავლაზე შეამჩნევთ: ქალაქში რა გაკეთებულა ან რა კეთდება. აი მუშა - მოსამსახურეთა საერთო საცხოვრებლებს თეთრი გედებივით ჩაუბუდიათ მაღლობზე ლაღად შეფენილ ტროპიკულ მცენარეთა უხუნებელ ბაღნარებში.

თვალი ვერ ასცდება შუაგულ სოხუმში, შუაგულ მოედანზე დაწყებულ მშენებლობას. ეს არის მთავრობის სასახლე, რომელიც თავისი გრანდიოზულობით სანიმუშო იქნება მთელს აფხაზეთში.

ზღვის პირად მთავრდება ახალი პირველხარისხოვანი სასტუმრო. თავისი აღნაგობითა და ხუროთმოძღვრული სახეობით იგი დამამშვენებელი იქნება სოხუმის კოპწია ბულვარისათვის.

შემოდგომაზე მთავრდება კანალიზაცია და წყალსადენი, რაც ყოვლად კეთილმოწყობილ ქალაქების რკალში მოაქცევს სოხუმს.

—:—

სოხუმი მეტისმეტად კეკლუცანა ქალაქია. გულგრილად ვერ ჩაუვლის კაცი მის სილამაზეს.

ნარინჯისა და ლიმონის, პალმებისა და ევკალიპტების უჭკნობ ჭალებს გაურღვეველი ალყა შემოურტყამთ ირგვლივ. შიგაც კი მრავლად შემოჭრილან თავდაუჭერელი რაზმები და ასე მოუმწყვდევიათ ეს კოკროჭინა ქალაქი შიგ შეუტოპავ ზღვამდე.

აი სოხუმის ბულვარი — სადაც ინდოეთიდან თუ ცეილონიდან მოტაცებული თასაკრავივით რომ შემოვლებია აქაური ზღვის უნაოჭო შუბლს. ეს იშვიათი ტროპიკული ბოტანიკური ბაღია — ცისა, ზღვისა და ხმელეთის გზაჯვარედინზე გაშენებული. მრავალი ჯურის პალმებს ალუზნებული ფარშევანგივით გადაუპენტიათ ნაირ - ნაირი ფოთლები. რა ფერის, რა სურნელების, რა სილამაზის ხეს არ ნახავთ აქ. ამ რჩეულ ნარგავთა კოლექტივში შეხვდებით დედისერთა მცენარესაც.

აი მაგალითად კალლისტემონ, რომელიც ბათომის ბოტანიკურ ბაღშიაც კი არ მოიპოვება. იგი ავსტრალიიდან მოტაცებული მზეთუნახავია, მეტად ლამაზი, მარად მოყვავილე და მიუტოლები სხვა მეზობლებთან.

აქავე ტვირთმოკიდებულ მუშასავით მრავლად სდგას ტოტებ დარონძილი იაპონური ხურმა — მუშმალა. აი, სილამაზით გულგამსკდარი ფერად-ფერადი ვარდები რა საცდუნებლად ყელყელაობენ, მაგრამ არა, არავის ხელი არ შესცდება მათ მოსაგლეჯად.

აქ უფრო ლამაზი და ჯავარიანი ვარდები ნებივრობენ, ვიდრე ბერლინის ქუჩებში. აქ ქალაქის ცენტრალურ ქუჩაში მსხმოიარე მანდარინის ხეები არის ჩამწკრივებული, მაგრამ ყველაფერი ეს ფოთოლშეურხევლად რჩება კაცის ხელიდან.

მანდარინის ხეები ქალაქის შუაგულშია, რომელსაც თავდასაცავად მხოლოდ ჟუჟუნა ბალახი ავლია სხვა არაფერი! მოდი და ამის შემდეგ ნუ მოგენატრება სოხუმის ნახვა!

იმის შემდეგ, რასაც ბულვარზე და ქალაქის ქუჩებში ხედავთ, ბოტანიკური ბაღი გასაკვირს ველარაფერს ვერ დაგახვედრებთ. სხვა მხრიდან მოსულისათვის ეს ბაღი დიდადაც საყურადღებოა თავისი ტროპიკული იშვიათი ჯიშებით, მაგრამ სოხუმისათვის ეს მეტად პატარაა და ღარიბი. აქაური ჰაერი და ნიადაგი მრავალ შესაძლებლობას უშლის წინ გამრჯელ და თაოსნიან მუშაკს. ეს შესაძლებლობა ჯერ გამოყენებული არ არის ბოტანიკურ ბაღში.

სოხუმის ქუჩის სიცოცხლეც თავისებურია. ის ერთგვარად მოგვაგონებს ფლორენციის, უფრო კი ვენეციის ქუჩების სახეს. აქ არ დაგრიალებს ტრამვაი. ეტლები სრულებით არ მოიპოვება. რამდენიმე ავტომობილია და ისიც მორიგეობით უვლიან ცენტრალურ ქუჩებს.

რომ შებინდდება, უყვართ სოხუმელებს აქაური „გონდოლებით" გასეირნება უწყინარ ზღვაზე. მენავის ობოლი ჰრაქები ზღვის ციცინათელასავით დასრიალებენ სიბნელით მოცულ სივრცეში.

უხაროდეთ პოეტებს, მხატვრებს, სილამაზის მაძიებელ ადამიანებს ასეთი იდილური სურათები!

მაგრამ რახან ციცინათელები ვახსენე, მაშინ იქონიეთ ნამდვილი წარმოდგენა სოხუმზეც და ციცინათელებზეც.

შებინდდება თუ არა, სოხუმის ყველა ქუჩებში პატარა მეტეორებივით იწყებენ ელვარებას ეს საარაკო არსებანი. და რაც უფრო მატულობს სიბნელე, მით უფრო მატულობს მათი ცქრიალი. მათგან გავლებული საზღაპრო ხაზები უმავთულო ელექტრონივით ინთებიან, იკლაკნებიან მიწყნარებულ ქუჩებში, და მარტო ქუჩებში? ევებ სილამაზით აქოთებულ გამვლელის გულშიც.

სოხუმელი ცელქი გოგონები კიდევ ამას ზედ ურთავენ თავიანთ შეთხზულ სილამაზეს. დაიჭერენ ეს გიჟმაჟები ამ ციცინათელებს და გაჰხვევენ თავიანთ თმების ტევრში. ჰეები შიგ ებმიან როგორც ბადეში. დასეირნობენ გოგონები აქეთ-იქით დარდიმანდულად. მათ ქოჩორში კი ცოცხალი ბრილიანტებივით ღელავენ ციცინათელები. რამდენი ამერიკელი სოვდაგრის ქალი მოინატრებდა ასეთ თვალდასაყენებელ ჯილას! მაგრამ არა, ეს სოხუმელი ცელქი გოგონების გამოგონება მათივე ხელუხლებელი კუთვნილებაა.

# ნორჩი თაობის ზეიმი

## დღისით

კულტურისა და დასვენების ახლად გახსნილი პარკი 25 ივნისს ნორჩი თაობის მხიარულსა და მოკისკისე ლაშქარს ეპყრო.

სასწავლო წლის დასრულების აღსანიშნავ საბავშვო დღესასწაულს ხსნის ტფილისის განათლების განყოფილების გამგე ამხ. კორნელი ქაცარავა. 5000-ზე მეტი სწავლის დამკვრელი ერთსულოვანი ტაშისცემით ეგებება ამხ. სტალინისა და ბერიას სახელის ყოველ ხსენებას.

— ტფილისის სკოლებმა სასწავლო წელი დიდი წარმატებით დაამთავრეს. თუ გასულ წელს მოწაფეთა წარმატება საშუალოდ 80,2 პროცენტს უდრიდა, წელს საშუალო წარმატების მაჩვენებელმა 90 პროცენტს მიაღწია. სწავლის მრავალმა დამკვრელმა, ფრიადოსანმა და წარჩინებულმა გამოიჩინა თავი სასწავლო წლის განმავლობაში. ტფილისის საბჭომ გადასწყვიტა დააჯილდოვოს საუკეთესოთა საუკეთესონი — ამბობს ამხ. ქაცარავა.

მართლაც, დიდი გულუხვობა გამოიჩინა ტფილისის საბჭომ. პატეფონები, ძვირფასი საათები, ბიბლიოთეკები, ფოტო-აპარატები, გიტარები, მანდოლინები, და სხვ. მრავლად დაურიგეს ამ დღეს სწავლაში წარჩინებულებს, სანიმუშო დისციპლინისა და ყოფაქცევის მოწაფეებს.

### საღამოს 8 საათზე.

პარკის საზაფხულო დარბაზში მწყობრად დადგმულ სკამებზე ცოცხალი ვარდ-ყვავილების თაიგულები ჩაუმწკრივებიათ. ეს თაიგულები ათწლედების კურსდამთავრებულებისთვისაა მიძღვნილი.

იხდება ფარდა.

ტფილისის საბჭოს თავმჯდომარე ამხ. მ. ნიორაძე ხსნის საშუალო სკოლების კურსდამთავრებულთათვის მიძღვნილ საზეიმო საღამოს. პრეზიდიუმში არჩეული ამხანაგები — ს. კუდრიავცევი, გრ. არუთინოვი, გ. მგალობლიშვილი, მ. გობეჩია, მ. ნიორაძე, კ. ქაცარავა, ვ. გოგეშვილი, პ. შარია, გ. გიორგობიანი, ს. არუთინოვი, ი. მჟელაძე, ასათიანი, მისკარიანი და სხვ. მხურვალე ოვაციით ესალმებიან მომავალ კადრებს.

საშუალო სკოლადამთავრებულნი და მრავალრიცხოვანი დამსწრე საზოგადოება ფეხზე ადგომითა და ხანგრძლივი ოვაციით ესალმება საპატიო პრეზიდიუმში ამხ. სტალინის, მოლოტოვის, კაგანოვიჩის, ორჯონიკიძის, ვოროშილოვის, ბერიას და სხ. არჩევას.

მოკლე მოხსენებას „საშუალო სკოლების კურსდამთავრებულების შესახებ" აკეთებს ამხ. კ. ქაცარავა. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ წელს ტფილისის 5 რაიონში საშუალო სკოლა 458 კაცს დაუმთავრებია. მათ შორის დამკვრელია 202, ფრიადოსანი — 93, სხვადასხვა ძვირფასი საჩუქრით დაჯილდოვებული — 152.

გამოკითხვით გამოირკვა, რომ კურსდამთავრებულების უმრავლესობას (157 კაცს) სურს ინჟინერი, გახდეს ექიმობა უნდა — 72-ს, აგრონომობა — 17, მასწავლებლობა — 29-ს და სხვ.

ამხ. ქაცარავას მოხსენების შემდეგ კურსდამთავრებულებს მიესალმნენ: საქ. კ.პ. (ბ) ც. კ-ისა და ტფილისის კომიტეტის სახელით ამხ. პ. შარია, განსახკომიდან — ერ. გორდელაძე, სამეცნიერო მუშაკთა სახელით — პროფ. სურგულაძე, ა.ლ.კ.კ. ტ.-კ. სამხარეო კომიტეტის სახელით — ასრიევი, საშუალო სკოლების მასწავლებელთა სახელით—ამხ. სალუქვაძე კურსდამთავრებულთა სახელით საპასუხო სიტყვებით გამოვიდნენ ვ. მისკარიანი, დიმიტროვა და ჰაიდაროვა.

ცხოველი ინტერესი და აღფრთოვანება გამოიწვია მე-32 სკოლის (ლენინის რაიონი) მე-10 კლასის მოწაფის თ. უფუშიძის სიტყვამ, რომელსაც მთელმა დარბაზმა და პრე-



თინა უფუშიძე

ზიდიუმმა მხურვალე ოვაცია გაუმართა.

— ჩვენში ჩაქსოვილია ახალი ეპოქის ახალი ადამიანის ნებისყოფა. ვიზრდებით საბჭოთა ბედნიერი ცის ქვეშ, ვსუნთქავთ საბჭოთა ჰაერით. ჩვენში არ არის ეროვნული განსხვავების საფუძველზე შუღლი და წინააღმდეგობა. რუსი, ქართველი, სომეხი, თათარი, ებრაელი ერთად ვართ. ერთად სწავლობს დარაჯის, მუშის, კოლმეურნის შვილი. გვაქვს ერთი მიზანი — ჩვენი უდიდესი და უსაყვარლესი სოციალისტური სამშობლოს შემდგომი განმტკიცება... მოწონებისა და აღტაცების ნიშნად დარბაზი მრავალ თაიგულს ისვრის მაღლა. მქუხარე ოვაცია ფარავს ნორჩი გულის სიღრმიდან ამოხეთქილ სიტყვებს.

საზეიმო სხდომა მისასალმებელ დეპეშებს უგზავნის უსაყვარლეს ბელადს ამხ. სტალინს და ამიერ-კავკასიის ბოლშევიკების მტკიცე ხელმძღვანელს — ამხ. ბერიას.

საღამოს მხატვრულ ნაწილში მონაწილეობა მიიღეს სკოლებმა და ხელოვნების დამსახურებულმა მუშაკებმა.

# ამახინჯებენ კულტურული საბჭოთა ვაჭრობის წესებს

## (ჩვენი კორესპონდენტისაგან)

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც საქ. კ.პ.(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა და საქ. სახკომსაბჭომ მიიღეს დადგენილება სავაჭრო ორგანიზაციებში ზომა-წონის და ფასების საბჭოთა პოლიტიკის დამახინჯებათა წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ.

ამ დადგენილების მიხედვით ქუთაისის ქალაქის სავაჭრო ორგანიზაციებში თუმცა შემცირდა ეს დამახინჯებანი, მაგრამ იგინი ჯერ კიდევ არსებობენ.

მაგალითად, პროფსაბჭოს სავაჭრო № 1-ში (გამგე ე. კალანდაძე) კილოგრამ ბრინჯს, ნაცვლად 1 მან. და 65 კაპ., ჰყიდიან 2 მანეთად. ქუთსოფმრეწვის კიოსკებში ფასების სხვადასხვაობაა. № 1 კიოსკში სიროფიანი წყალი იყიდება 25 კაპ., კიოსკი № 2—კი 30 კაპ., ბოთლი ლიმონათი ნაცვლად 1 მან. და 10 კაპიკისა, იყიდება 1 მან. და 40 კაპ. სარეწაო კოოპერაციის სავაჭრო № 1 (გამგე ბუაძე) ½ კილოგრამი სარეცხის საპონი, ნაცვლად 1 მან. 40 კ., იყიდება 1 მანეთად და 75 კაპ.

წითელი ჯვრის ქუთაისის საოფთალმო მაღაზიაში (გამგე ქუთათელაძე) არ აქვთ პრეისკურანტი, გასაყიდ საქონელს ფასები არ აწერია. ქალაქის მუშკოოპის პურის წერტის № 1 კიოსკის გამგე შ. ნიკურაძე ატყუებს მყიდველებს პურის წონაში. 8 ივნისს მოქალაქე სარა ფიჩხაძეს დააკლო 100 გრამი (2 კილო პურზე), სონია თავდიდიშვილს — 100 გრამი კილო პურზე) და სხვ.

კიდევ მეტია დამახინჯებანი საკოლმეურნეო სავაჭროებში.

ამბროლაურის რაიონის სოფ. ქვიშარის საბჭოს და ჭალის კოლმეურნეობებს აქვთ ქუთაისში საკოლმეურნეო სავაჭროები, სადაც მოკალათებულან ყოფილი ვაჭრები—წერეთელი, წასიძე, ვარაზაშვილი და სხვ. მათ არავითარი დამოკიდებულება კოლმეურნეობასთან არ აქვთ და არც ითვლებიან მის წევრებად.

ზესტაფონის რაიონის სვირის კოლმეურნეობას გახსნილი აქვს ქუთაისში ზდანოვიჩის ქუჩაზე საკოლმეურნეო სავაჭრო (გამგე შ. წაქაძე). სავაჭროში მოკალათებულან არაკოლმეურნეები — ნიკოლაძე, წაქაძე და სხვები, შინავაჭრობის ქუთ. განყოფილებაში წარმოდგენილ გეგმით კი იქ კოლმეურნეობის წევრები უნდა ყოფილიყვნენ.

ტყიბულის საკოლმეურნეო სავაჭროში დიდ უმსგავსობას აქვს ადგილი. სავაჭროს გამგედ ჩამდგარა ცნობილი კომბინატორი ზაუტაშვილი, რომელსაც ნოქრად მოყვანილი ჰყავს არა კოლმეურნეობის წევრი ტუკვაძე და ხორცის გამყიდველი ობოლაძე. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლომ ზაუტაშვილი მრავალჯერ გაასამართლა, ის კვლავ ორხელად განაგრძობს ხორცით და ღვინით სპეკულაციას.

აღნიშნული ფაქტები კმარა იმის წარმოსადგენად, თუ რა მდგომარეობაა ქუთაისის ზოგიერთ სავაჭროში. საჭიროა შინვაჭრობის ქუთ. განყოფილებამ მიიღოს გადამწყვეტი ზომები.

# გაიხსნა სოფლის საბჭოების კადრების გადასამზადებელი კურსები

**ბათომი,** (საკ. კორ.). პირველ ივნისს ბათომში გაიხსნა სოფლის საბჭოს თავმჯდომარეებისა და მდივნების გადასამზადებელი სარაიონთაშორისო კურსები, რომელიც მომსახურებას უწევს ბათომის, ქობულეთის, ქედის, ხულოს, მახარაძის, ჩოხატაურისა და ლანჩხუთის რაიონებს.

კურსები ერთვიანია. ამ კურსებზე სულ გადაამზადებენ 93 კაცს. ამათგან პირველი ნაკადი 27 კაცის რაოდენობით გამოშვებული იქნება პირველი ივლისისათვის, ხოლო მეორე ნაკადის მეცადინეობა დაიწყება 5 ივლისიდან.

მსმენელები მთლიანად უზრუნველყოფილნი არიან ბინებით, სახელმძღვანელოებით, სასწავლო პროგრამებითა და ლექტორთა შერჩეული კადრებით. კურსების პროგრამა 200 საათიანია. სწავლობენ შემდეგ საგნებს: მოძღვრება საბჭოთა სახელმწიფოზე, მათემატიკა, ქართული ენა, სოფლის საბჭოების ორგანიზაცია და მათი ამოცანები, სოფლის საბჭოების ადგილობრივი ბიუჯეტი, სოფლის მეურნეობის სოციალისტური მშენებლობა და სხვ.

სოფლის საბჭოებისათვის კადრების მომზადება მეტად სერიოზული საქმეა, მაგრამ ზოგიერთ რაიონში მას სათანადო ყურადღებას არ აქცევენ მაგალითად, ჩოხატაურის რაიონმა კურსებზე 4 კაცის ნაცვლად მხოლოდ ორი გამოგზავნა და ისიც ერთი კვირის დაგვიანებით, ხულოს რაიონს უნდა გამოეგზავნა 6 კაცი, გამოგზავნა 4, მახარაძის რაიონმა 4-ის ნაცვლად—2 ქედმა სამი კაცის ნაცვლად ორი და სხვ.

აღსანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ ზოგიერთ რაიაღმასკომს გულდასმით არ შეურჩევია კურსებზე გასაგზავნი ამხანაგები. მაგალითად, მახარაძის რაიონმა კურსებზე გამოგზავნა ნატანების სოფლის საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ბაგრატ ბერაძე, ლანჩხუთის რაიონმა სუფსის სოფლის საბჭოს მდივანი ამხ. ვერა შალიკაშვილი ეს ამხანაგები ძალიან კარგად ერკვევიან სოფლის საბჭოების მუშაობაში, აღნიშნულ რაიონებში კი ბევრია ისეთი სოფლის საბჭოს თავმჯდომარე და მდივანი რომელთა გადამზადება უფრო ნაყოფიერი და სასარგებლო იქნებოდა.

ეს ნაკლოვანებები მტკიცედ უნდა გაითვალისწინონ რაიაღმასკომებმა როცა ისინი შეარჩევენ კურსების მეორე და მესამე ნაკადზე გასაგზავნ ამხანაგებს. კერძოდ მახარაძის რაიონმა მთავარი ყურადღება უნდა მიაქციოს ახლად დაარსებულ სოფლის საბჭოების ხელმძღვანელთა გადამზადებას.

ტ. აცანელი.

# კურორტი აბასთუმანი



სურათზე: მარცხნივ—აბასთუმნის საერთო ხედი; მარჯვნივ—საქართველოს პროფ საბჭოს სანატორიუმი.

ბორჯომიდან 75 კილომეტრის მანძილის გავლის შემდეგ, მგზავრთა ყურადღებას იპყრობს საზღაპროდ მდიდარი ბუნება, წიწვიანი ტყით შემოსილი მიდამოები — ეს არის კურორტი აბასთუმანი, რომლის ისტორია 1878 წლიდან იწყება საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ეს საუკეთესო კურორტი მიუწვდომელი იყო მშრომელთათვის. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან ხდება ის მშრომელთა ჯანმრთელობის სამკვიდრო. აბასთუმანმა, როგორც იშვიათი თვისებების მქონე სამკურნალო კურორტმა სახელი გაითქვა არა მარტო საქართველოსა და ამიერკავკასიაში, არამედ მთელ საბჭოთა კავშირში. ვინ მოსთვლის, თუ რამდენი ტუბერკულოზით დაავადებული განუკურნავს ამ შესანიშნავ კურორტს. აბასთუმნის სახელთან მჭიდროდაა დაკავშირებული ტუბერკულოზთან, როგორც დიდ სოციალურ დაავადებასთან აქტიური ბრძოლა.

კურორტ აბასთუმანს ამჟამად უჭირავს 10 კვ. კილომეტრი ტერიტორია, რომელსაც აკრავს 14.000 კვ. ჰექტარი წიწვიანი ტყე. ამ აგარაკის არაჩვეულებრივი თვისება, გარდა იმისა, რომ იგი ფილტვების, ძვლების და ყელის ტუბერკულოზის სამკურნალო ადგილია, ისიცაა, რომ ის ცნობილია სამკურნალო წყლებით, რომლებიც დადებითად მოქმედობს ნერვებით დაავადებულებზე.

აბასთუმანში ამჟამად 6 სანატორიუმია 1040 ადგილით, რომლებშიაც არაორგანიზებულ დამსვენებელთა ჩათვლით წელს 15.000 ავადმყოფი დაისვენებს. აბასთუმნის საკურორტო სამმართველოს მიერ საკურორტო სეზონისათვის მზადება წელს წარმოებს საერთოდ დამსვენებელთა და კერძოდ ავადმყოფთა მომსახურეობის ხარისხის ყოველმხრივ გაუმჯობესების ნიშნით. გასულ წელთან შედარებით კვება გაძლიერებულია 25 პროცენტით. შარშან თვითეულ ავადმყოფზე კვებისათვის იხარჯებოდა 6 მანეთი, წელს დაიხარჯება 8 მანეთი. ეს უნდა აიხსნას იმით, რომ საკურორტო სამმართველო აწარმოებს დეცენტრალიზებულ დამზადებას სხვადასხვა რაიონებში (ახალქალაქი, ბოგდანოვკა). სეზონის გახსნის პირველ დღეებიდანვე (1 ივნისიდან) ყველა სანატორიუმი უზრუნველყოფილია, როგორც სექიმო, ისე დამხმარე პერსონალით. მეორე სანატორიუმთან წელს იხსნება ფილტვების ქირურგიის სპეც. განყოფილება, რომლის ხელმძღვანელად მოწვეულია ცნობილი ქირურგი ანთელავა. კურორტთა სამმართველოს აქვს დიდი პოლიკლინიკა, სადაც შინაგანი, ქირურგიული, ქალური, ყურის ცხვირის, კბილის, ბავშთა სნეულებების და რენტგენის კაბინეტებია, სამკურნალო წყლები აბაზანებისათვის და სხვ. კურორტი უზრუნველყოფილია დამხმარე მეურნეობებით. აქვთ სახერხი, სადურგლო და აგურის ქარხნები, აგრეთვე სარძეო ფერმა. განსაკუთრებით აღსანიშნავია სარძეო ფერმის უდიდესი მნიშვნელობა კურორტისათვის, რომელიც ყველა სანატორიუმს აკმაყოფილებს საუკეთესო ხარისხის რძით წლიურად 166.000 ლიტრის ოდენობით.

გასულ წელს უყურადღებოდ იყო მიტოვებული არაორგანიზებულ დამსვენებელთა მომსახურეობა. წელს ეს საკითხი მოგვარებულია. კაპიტალურად შეკეთებულია ბინები, აღმოფხვრილია დღემდე არსებული სისტემა ბინების ფასის გათანაბრებისა, დღემდე ცუდ, კარგ, ნესტიან და ნათელ ოთახში, განურჩევლად მისი სიდიდისა, ერთნაირ ფასს იხდიდენ ავადმყოფები. ეხლა კი ოთახები გაცემულია თავისი ხარისხის მიხედვით. მიღებულია ზომები მოაგარაკეების კულტმომსახურეობისათვის. ამ საქმეზე წელს დაიხარჯება 145.000 მანეთი, 25.000 მანეთით მეტი გასულ წელთან შედარებით. უკვე მოეწყო ცენტრალური ბიბლიოთეკა, სამკითხველო, მთელი სეზონის განმავლობაში კურორტს მომსახურებას გაუწევს საცეკვაო ორკესტრი. დადებულია ხელშეკრულება საქ. კურორტთა სამმართველოსთან აბასთუმანში მსახიობთა ბრიგადების გასტროლებისათვის. ამ მიზნით გადადებულია 44.000 მანეთი.

არ შეიძლება არ აღინიშნოს რადიოს უმოქმედობა მთელ კურორტზე და კინო-სურათების დაბალი ხარისხი. ეს ნაკლი ამ თავითვე უნდა გამოსწორდეს.

კურორტ აბასთუმნის კეთილმოწყობაში სუსტ მონაწილეობას ღებულობენ საქ. კავშირგაბმულობის სამმართველო და საქტრანსი. საქტრანსმა ჯერ კიდევ ხელი არ მოაწერა ხელშეკრულებას, რომლის მიხედვით უნდა დაწყებულიყო აბასთუმნის მთავარი ქუჩის მოასფალტება, ხოლო კავშირგაბმულობის სამმართველო რატომღაც აჭიანურებს კურორტზე სატელეფონო ქსელის გაშლას, ელგანათების უკეთ მოწყობის მიზნით აბასთუმნის კურორტთა სამმართველომ უკვე შეიძინა 150 ცხენის ძალიანი თბომავალი, რომელიც მოემსახურება კურორტს, დამთავრდა გზების შეკეთება, კანალიზაციის გაყვანა, დიდი მუშაობაა ჩატარებული კურორტის გამწვანებისათვის.

კურორტის ხელმძღვანელობამ (დირექტორი ამხ. ფირცხალავა) დროულად მოჰკიდა ხელი მოსამზადებელ მუშაობას და უნდა ვიფიქროთ, რომ საკურორტო სეზონი წარმატებით ჩაივლის.

დავით აბულაძე.

# ავტომობილით 5 უღელტეხილზე

16 ივლისს ტფილისში დაიწყება დიდი სასწრაფო ავტო-გადარბენა შემდეგი მარშრუტით: ტფილისი — გორი — ხაშური — ზეკარი—ბაღდათი — აბასთუმანი — ოდიგენი — ბათომი — მახარაძე — სამტრედია — ქუთაისი — შოვი — დარკვეთი— ორჯონიკიძე — ტფილისი. მანქანები გაივლიან სურამის, ზეკარის, გოდერძის, მამისონის და ჯვარის უღელტეხილებს. გადარბენის მანძილი 1.200 კილომეტრია.

გადარბენაში მონაწილეობენ გორკის ავტოქარხნის მსუბუქი ავტომანქანები. მონაწილეობის სურვილი გამოსთქვეს გორკის ავტოქარხნის მანქანების 17 მფლობელმა. სადღეღამისო ნორმად დაწესებულია 205 კილომეტრი. გადარბენა 5 დღეს გასტანს.

ამ უძნელეს სამთო - საავტომობილო გადარბენას აწყობს საქავტოგზის ცენტრალური საბჭო. სამზადისი თითქმის დამთავრებულია. გადარბენას ხელმძღვანელობს კომიტეტი ამხ. ბაგრატიონის, ქურდაძის, ჯავახიძის, ოდილავაძის, ყაყიაშვილის, ლუნიაკინის, ბეთანოვის და ანთიძის შემადგენლობით.

იმ მანქანებისათვის, რომლებიც პირველნი მივლენ ფინიშთან, დაწესებულია 5 პრემია—5 ათასიდან 1000 მანეთამდე. გარდა ამისა, დაწესებულია 2 პრემია 500 და 300 მანეთის რაოდენობით საწვავის ეკონომიისათვის.

სტარტის წინ ყველა მანქანებს ტექნიკურად შეამოწმებს სპეციალისტთა კომისია.

# საკუთარი თვითმფრინავები—საკუთარი აეროდრომები

„კომუნისტის" რედაქციისა და წალენჯიხის რაიონის ინიციატივით წამოწყებულ სოცშეჯიბრებას, რომ ყოველ რაიონს ჰქონდეს საკუთარი თვითმფრინავი და სანიმუშოდ მოწყობილი აეროდრომი, ადგილებზე ფართოდ გამოეხმაურენ. შეჯიბრებაში უკვე ჩაება და პრაქტიკული მუშაობა გაშალა 14 რაიონმა.

უკანასკნელად შეჯიბრებაში ჩაებნენ ჭიათურის, გორის და ხაშურის რაიონები.

ჭიათურის რაიონს უკვე აქვს საკუთარი თვითმფრინავი „ჭიათურის მაღაროელი", მაგრამ აეროდრომის უქონლობის გამო არ შეუძლია მისი გამოყენება. ახლა რაიონი ჩაება რესპუბლიკურ შეჯიბრებაში და გადაწყვიტა აეროდრომის მოწყობა.

გორისა და ხაშურის რაიონებს თვითმფრინავების დასაფრენი მოედნები, მართალია, გამოყოფილი აქვთ, მაგრამ უკანასკნელ დრომდის არავითარი ზომები არ იყო მიღებული მათ მოსაწყობად.

ეს ორი რაიონის აეროდრომის მოწყობაში ერთმანეთს ეჯიბრება. გადაწყვეტილი აქვთ აეროდრომები მზად იყოს ავიაციის დღისათვის.

აეროდრომების მოწყობაში რაიონები მოკლებული არიან ავიაციის ხელშემწყობი კომიტეტის ცოცხალ ხელმძღვანელობას. საჭიროა კომიტეტმა მეტი დახმარება გაუწიოს რაიონებს აეროდრომების მოწყობაში, ეს მისი უშუალო საქმეა.

ვ. მ—ძე

# მდ. რიონის ადიდება

**სამტრედია,** 27 ივნისი. (საკ. კორ.) დღეს დილის 5 საათიდან მდინარე რიონმა ადიდება დაიწყო. წყალმა დაფარა ნათესები, წაიღო ყველა ბორანი. წყალდიდობასთან საბრძოლველად გამოიყო საგანგებო ხუთეული. მდინარის ადიდება მატულობს.

**ვანი,** 27 ივნისი (საკ. კორ.) 27 ივნისს, დილის 4 საათიდან ადიდდა მდინარე რიონი. წყალდიდობამ ძალზე დააზიანა სოფელი ბზვანის, დიხაშხოს, სალხინოს და ქვედა-ვანის ნათესები, წაიღო წისქვილები.

წყალდიდობის წინააღმდეგ მიღებულია სასწრაფო ზომები.

# ქართული ეთნოგრაფიული გუნდი მიემგზავრება მოსკოვსა და ლენინგრადში

განსახკომთან არსებული საქართველოს სახელმწიფო ეთნოგრაფიული გუნდი ამხ. კ. პაჭკორიას ხელმძღვანელობით მიემგზავრება მოსკოვსა და ლენინგრადში. გუნდი რუსეთში დარჩება 1 ივლისიდან 15 აგვისტომდე და კონცერტებზე გამოვა ქართული მუსიკალური ფოლკლორის საუკეთესო ნიმუშებით.

მოსკოვში კონცერტები გაიმართება სტალინის სახელობის ბაღში, გორკის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალურ პარკში. მუშათა კლუბებსა და ფაბრიკა-ქარხნებში, კრემლის სასახლეში და „პრავდას" და „იზვესტიას" სტამბა-რედაქციების მუშაკთათვის.

32 რჩეული ქართული სიმღერა ჩაწერილი იქნება გრამოფონის ფირფიტებზე.

ლენინგრადშიც გუნდი გამართავს კონცერტებს სხვადასხვა ბაღებსა, მუშათა კლუბებსა და ფაბრიკა-ქარხნებში. ლენინგრადიდან დაბრუნების შემდეგ გუნდი მონაწილეობას მიიღებს როსტოვში გამართულ ამიერ-კავკასიის ხალხების მუსიკალურ ფოლკლორის გამოფენაზე.

რუსეთში გამგზავრებამდე, დღეს, 28 ივნისს რუსთაველის თეატრში გუნდი გამართავს საჩვენებელ კონცერტს და შეასრულებს სხვადასხვა რჩეულ სიმღერებს.

სხვა ცნობილ ხალხურ მომღერალთა შორის გუნდში მონაწილეობენ კახელი მომღერალი მ. ჯილაური თავისი დასით და გურიიდან—ერქომაიშვილი.



სურათზე: ეთნოგრაფიული გუნდი ამხ. პაჭკორიას ხელმძღვანელობით.

# 3 ტყუპი

**მახარაძე,** 26 ივნისი. ამ დღეებში მშვიდობაურის კოლმეურნეობის (ბახვის სასოფლო საბჭო) წევრს ე. ანდღულაძეს ეყოლა სამი ტყუპი, სამივე ქალი. მახარაძის რაიონის ჯანმრთელობის განყოფილების ექიმთა დასკვნით, ახლად დაბადებულნი სავსებით ნორმალური და ჯანმრთელნი არიან (ადს).

# ხელოვნება

## ლეონიდ უტიოსოვის გასტროლები

ლეონიდ უტიოსოვი, თეატრალიზებული ჯაზის შემქმნელი და სულის ჩამდგმელი, საბჭოთა ესტრადის ერთერთი საუკეთესო წარმომადგენელია. ლ. უტიოსოვმა საინტერესო არტისტული გზა განვლო. ჯერ იყო გამოჩენილი დრამატიული აქტიორი, შემდეგ ოპერეტის მსახიობი, ბოლოს თავისი ყურადღება შეაჩერა ესტრადაზე, სადაც ყველაზე მკაფიოდ გამოაამჟღავნა თავისი დიდი შესაძლებლობანი.

ლ. უტიოსოვის ღირსება ის არის, რომ მან ევროპულ ჯაზში შეიტანა სიტყვა, ირონიულ ტონებით აფერადებული სიტყვა, და ფართოდ გამოიყენა თავის მუშაობაში პაროდიის ხერხები. უტიოსოვი მუდამ ძიებაშია, ის ეძებს ჯაზ-წარმოდგენის ახალ-ახალ ფორმებს და ამ გზაზე საკმაო წარმატებებიც აქვს არა მარტო ესტრადაზე, არამედ კინოშიც (ფილმები „მხიარული ახალგაზრდები" და „მხურვალე პიროვნება", რომლის გადაღებაც დაიწყო ამ ერთი თვის წინათ).

ლ. უტიოსოვის პროგრამის ყველა ნომერი დაკავშირებულია მის ჯაზ-ორკესტრთან, ინდივიდუალურად უტიოსოვი უკვე იშვიათად თუ გამოდის ესტრადაზე. ორკესტრი შესდგება ლენინგრადის კონსერვატორიის 17 ახალგაზრდა ნიჭიერი მუსიკოსისაგან. თავისი ხელმძღვანელით ისინი მშვენივრად ასრულებენ არა მარტო მუსიკალურ პიესებს, არამედ დრამატიულ სკეტჩებსაც.



ლ. უტიოსოვი

ლ. უტიოსოვი ტფილისში მეორედ არის. პირველად ის აქ გამოდიოდა 1930 წელს. ამ ხნის განმავლობაში მან დიდი ევოლუცია განიცადა. ახლანდელი უტიოსოვის რეპერტუარში უკვე აღარ არის ავარული სიმღერები, უტიოსოვი თვითონ ირონიით იხსენიებს თავის წარსულს. უტიოსოვს უკვე განაზღვრავს არა „სამოვართან", არამედ მარში „მხიარული ახალგაზრდებიდან", და სიმღერა „ოილი" იმავე ჯაზკომედიიდან, უტიოსოვის იუმორი უფრო რბილი და ლირიკული გახდა.

თავისი პროგრამის პირველ ნაწილში ლ. უტიოსოვი გამოდის როგორც სიტყვიერი საესტრადო ჟანრის ოსტატი, ხუმრობს, კუპლეტებს ამბობს, თავის თანამშრომლებთან ერთად თამაშობს მხიარულ სკეტჩებს. მეორე განყოფილება მთლიანად დათმობილი აქვს მუსიკალურ ნაწილს. ცალკე ნომრებიდან გამოირჩევა ლირიკული სიმღერა „ფანჯარასთან", პაროდია ბოშურ სიმღერაზე და ნაწყვეტები „მხიარული ახალგაზრდობიდან". ყველა მუსიკალურ მინიატურას ახასიათებს დამუშავების სიზუსტე და შემსრულებელთა (ორკესტრი, მომღერალი, დირიჟორი) შეთანხმებული მუშაობა.

ლ. უტიოსოვის თეა-ჯაზის გასტროლები საბჭოთა ესტრადის უდიდ ზრდის მაჩვენებელია.

შ.

# ავიომოდელისტების რესპუბლიკური შეკრება

30 ივნისს ტფილისში საქ. განსახკომი და ტფილისის აეროკლუბი აწყობენ ნორჩი ავიომოდელისტების რესპუბლიკურ შეკრებას. შეკრებაზე მოდიან საქართველოს რაიონების საუკეთესო მოდელისტები თავიანთი მფრინავი მოდელებით.

1-3 ივლისამდე ტფილისის აეროკლუბის აეროდრომზე სადგ. რუსთავში მოხდება მოდელების გაფრენა, სადაც დამსწრე საზოგადოებას ნორჩი ავიომოდელისტები უჩვენებენ თავიანთ მიღწევებს.

3 ივლისს შეარჩევენ საქართველოს საუკეთესო ავიომოდელისტებს ა.-კ. ავიომოდელისტების შეკრებაზე გასაგზავნად, რაც შესდგება 5 ივლისს.

# „საუნჯე ხალხური შემოქმედებისა"

გამოვიდა გაზეთ „კოლექტივიზაციის" შეგროვილი ხალხური ლექსების კრებული „საუნჯე ხალხური შემოქმედებისა". კრებულში ოთხი განყოფილებაა: 1 შოთა რუსთაველი ხალხურ შემოქმედებაში, 2. სოციალისტური საქართველო. 3 სატრფიალო-საყოფაცხოვრებო და 4. კლასთა ბრძოლა. წიგნი შეიცავს 160 ლექსს.

გამოცემა დაასურათა მხატვარმა ი. ქუჩქიაშვილმა.

# საქ. ცაკის და სახკომსაბჭოს დადგენილება

## სისხლის სამართლის კოდექსისათვის 70[1] მუხლის დამატების შესახებ

თანახმად სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წ. აპრილის 7-ის დადგენილებისა „მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსისათვის იმ მუხლის დამატების შესახებ, რომლითაც დაისჯება სახელმწიფო ხურდა ფულის გადადნობა და ამ ფულის სხვა წარმოო მიზნებისათვის გამოყენება" (სსრკ კან. კრ. 1935 წ. მე-19 №-ი, მუხ. 156) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსს დაემატოს 70[1] მუხლი შემდეგი შინაარსისა:

70[1]. სახელმწიფო ლითონის ხურდა ფულის (ვერცხლის, ნიკელის, თითბრის და ბრინჯაოს) ზოდებად გადადნობა და აგრეთვე ამ ფულის სხვადასხვა ნაკეთობის გამოსაყვანად გამოყენება ისჯება თავისუფლების აღკვეთით სამ წლამდე, ხურდა ფულის სათანადო ზოდებისა და ნაკეთობის კონფისკაციით, ხოლო ამ ქმედობის ხელობის სახით ჩადენა —თავისუფლების აღკვეთით არა ნაკლებ სამი წლისა, მსჯავრდადებულის მთელი ქონების კონფისკაციით".

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ბუდუ მდივანი.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი თ. ჟღენტი.

1935 წ. ივნისის 14.

ტფილისი.

# „ინტურისტის" ახალი სასტუმრო ბათომში

ბათომში, ყოფილი სამხედრო ტაძრის ადგილას შენდება „ინტურისტის" სასტუმრო.

ბათომის „ინტურისტის" ახალ სასტუმროში დამხმარე სადგომებთან ერთად, 260 ოთახი იქნება, აქედან 128 ნომერი. შენობის დანარჩენ ნაწილში გაიმართება სალონები, საბანკეტო დარბაზი, საზაფხულო და საზამთრო რესტორანი, სამკითხველო, საპარიკმახერო და სხვა.

სასტუმროს ყველა ნომერში დაიდგმება ტელეფონი. ნომრების 70 პროცენტს ცალკე საბაზანო და საპირფარეშო ექნება.

სასტუმროს შენობას მთელი კვარტალი უჭირავს. მისი მთავარი ფასადი საფეხურიან ტერასებად გადის ზღვის ბულვარზე. ვესტიბიულის იატაკი და განიერი კიბის საფეხური ბუნებრივი მარმარილოსი იქნება, ხოლო ვესტიბიულის რესტორანების და კაფეს სვეტები და კედლები ხელოვნური მარმარილოსი. მთელი შენობა მხატვრულად იქნება გაფორმებული.

სასტუმროს ეზოში გაშენდება სუბტროპიკულ მცენარეთა პარკი, რომლის ხეივნები შადრევნებით იქნება გამშვენიერებული.

თავისი მოწყობილობით და კომფორტით ბათომის „ინტურისტი" ერთერთი სანიმუშო სასტუმრო იქნება საბჭოთა კავშირში.

# მარჯანიშვილის თეატრი

## 30 ივნისს ამთავრებს სეზონს.

30 ივნისს მარჯანიშვილის სახელობის თეატრი მიმდინარე წლის სეზონს ასრულებს შილერის „ვერაგობა და სიყვარული" დადგმით. ერთთვიანი შვებულების შემდეგ დასი პირველ აგვისტოდან შეუდგება მომავალი სეზონისათვის სამზადისს. ახალი სეზონი გაიხსნება 1 ოქტომბერს.

სეზონის დახურვის წინ ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკის დირექციის მიწვევით თეატრი გამართავს წარმოდგენებს პარკის თეატრის შენობაში.

— დღეს, 28 ივნისს, მარჯანიშვილის სახელობის თეატრში უკანასკნელად ამ სეზონში მიდის გ. ბახტაძის პიესა „განურჩევლად პიროვნებისა".

# ხელოვანთა კლუბში

28 ივნისს გაიმართება კონცერტი (გრამ. ფირფიტები) პროგრამაშია იტალიელი ოსტატები: კარუზო, პერტილე, ჯილი, სკიპა და სხ. დასაწყ. საღ. 10 ს.

29 ივნისს გაიმართება საღამო მიძღვნილი მოსკოველი მხატვრების გამოფენისადმი ტფილისში. მომხს. ამხ. ლედუხოვა და შ. ტაბულევიჩი. დასაწყ. საღ. 9 ს.

# ვიქტორ ჰიუგოს ხსოვნის საღამო

დღეს საღ. 8 ს. სახელმწიფო კონსერვატორიის დარბაზში უცხოეთთან კულტურული კავშირის ამიერ-კავკასიის საზოგადოება ვიქტორ ჰიუგოს გარდაცვალებიდან 50 წლის შესრულებასთან დაკავშირებით აწყობს საღამოს. შესვლა მოწვევის ბარათებით.


| | |
|---|---|
| ოქტომბერი 6-30, 8-30, 10-30 | ახალი ხმოვანი კომედია ხამი ამხანაგი |
| დამკვრელი (საზაფხ. საზამთრო) 6-30, 8-30 10-30 | მხატვრული ფილმი ჯონის პირველი სიყვარული |
| ტემპი (საზაფხ. ხმოვანი 9, 11 | დადგმის მე-2 კვირა ახალი ხმოვანი სურათი პეტრე ვინოგრადოვის კერძო ცხოვრება |
| რ. ლიუქსემბურგის სახ. 6-30, 8-30, 10-30 | ახალი ხმოვანი ფილმი მფრინავები |
| ეთერი (საზაფხ.) 9 10-30 | უკანასკნელი დღე განწირულნი -2 სერია |
| „26"-ის კომ. სახ. 6-30, 8-30, 10-30 | საზამთ.— ხმ. კომედია ცხარე დღეები; საზაფხ.— ფიფქები შრიალებენ |
| კომინტერნი საზაფხ. (დიდუბეში). 8-30, 10-30. | დახეული ფეხსაცმელები |

ექიმი ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე-სასქესო, სიფილისი და კანის სნეულებანი.
დილით 9—12 ს. და საღ. 6—8 ს. ქალებისათვის ცალკე შესავალი სასტუმრო „ევროპას" (ყოფ. „ნოე") გასწვრივ. ნოდრიშვილის (ყოფ. „პლეხანოვის") შესახვევი № 8.
10—5 8070

ფიზიკა მათემატიკა-ქიმიაში
ვამზადებთ
მოწაფეებს
უმაღლესი სასწავლებლების საკონკურსო გამოცდებისათვის
ნინოშვილის ქ. № 47 (ყოფ. ალექსანდროვის) მასწ. პაპიტაშვილთან. დილ. 8 ს.—10-მდე, საღ. 4 ს.—6 ს-დე.

საქართვ. სახელმწ. გამომცემლობის
„სახელგამის"
პერიოდსექტორის ხელისმომწერთა
საყურადღებოდ
შემჩნეულია რომ სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები ჰკრეფენ ხელის მოწერის თანხებს და მას არ გზავნიან დანიშნულებისამებრ. ამიტომ საჭიროა თითოეულმა ხელის მომწერმა ხელის მოწერის დროს მოითხოვოს ოფიციალური ცნობა სახელგამის პერიოდსექტორის წარმომადგენლობის შესახებ და აგრეთვე ოფიციალური ბეჭედ დასმული ქვითარი ფულის გადახდის დროს. წინააღმდეგ შემთხვევაში სახელგამის პერიოდსექტორი იხსნის პასუხისმგებლობას თავიდან ყოველგვარ გაუგებრობის შემთხვევაში.
საქ. სახელმწ. გამომცემლობის პერიოდ სექტორის გამგე ლ. თავაძე.
292

დამწუხრებული მამა ნიკო შვილით ეთერით სამანაშვილები აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს ახალგაზრდა საყვარელ
ვალოდია (ბიჭიკო) სამანაშვილის
უდროოდ დაკარგვას. სამოქალაქო პანაშვილის ქ. № 1. დაკრძალვა 29 ივნისს საღ. 5 ს. 8730

საქ. მეხილ. ზონსადგურის თანამშრომლები: მ. ბახტაძე, ი. ნადირაძე, ი. ნასყიდაშვილი, მ. აბრამია, ნ. ფალავანდიშვილი, რ. შალიკაშვილი, რ. მამულაშვილი, გ. კაკაშვილი, ი. ხანიშვილი, გ. ოქროშიაშვილი მწუხარებას გამოთქვამენ ლ. კალანდაძის ნორჩი
გიგის
უდროოდ დაკარგვის გამო. 8732

დამწუხრებული შვილები: დათიკო, აბეტა, რძალი ვერა ჩარკვიანი, შვილიშვილები: ელენა, ლილი ქორიძისა ნაშა სიგოგიძისა ქმარშვილით იუწყებიან საყვარელ
ვასილ სიმონის-ძე ხიმშიაშვილის
გარდაცვალებას. სამოქალაქო პანაშვიდი 29 ივნისს 7 ს., გამოსვენება 30 ივნისს 5 ს. შრომის ქ. № 63 კუკიის სასაფლაოზე. 8728

დამწუხრებული ქმარი სოსო ხუციშვილი, მამიდა მარიამი, დედამთილ-მამამთილი პელაგია, გიორგი ხუციშვილები აუწყებენ ნათესავთ, რომ 30 ივნისს დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი ქ. გორში
თამარ ხუციშვილის
სიკვდილის აღსანიშნავად. 8736

სარეწაო კავშირის ქიმიური სამმართველო მწუხარებით აუწყებს სამმართველოს უფროსის ნიკო ალექსანდრეს ძე სამანაშვილის ვაჟიშვილის
(ბიჭიკო) ვალოდია სამანაშვილის
უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა 29 ივნისს.

დამწუხრებული ქმარი აბიათარი პატარა შვილებით ნათელა, ცაალა მაზლი სევერიანი სირაძეები და ძმა ლატო კობახიძე იუწყებიან
საშა (ალექსანდრა) სირაძის
გარდაცვალებას. გამოსვენება არამიანცის საავადმყოფოდან ველაბრის სასაფლაოზე 28 ივნისს 4 საათზე. 8735

ბებია აგრაფინა ჩიკვაძე შვილებით: ლიდა, შურა, სერგო, გოგილო ტიტიკო, ვახტანგი, ტარიელი რძლები: ნადია, კორდელია, ვენერა შვილებით იუწყებიან მათი საყვარელ პატარა
ამალიას
გარდაცვალებას. 204

დები, ძმა, რძალი და სიძეები ულრმეს მადლობას უცხადებენ ყველას ვინც გაიზიარა მათი უსაზღვრო მწუხარება საყვარელ ელისაბედ ბაბუას ასულის
ფიფია—არაჩამიას
უდროოდ დაკარგვის გამო. 8733

დამწუხრებული მამიდა ანნა, საშა, სპარტაკი, ვილენა სეხნიაშვილები იუწყებიან დაუვიწყარ
ბიჭიკო სამანაშვილის
უდროოდ დაკარგვას. დაკრძალვა 29 ივნისს საღამოს 5 საათზე. გამოსვენება მელიქიშვილის ქ. № 1. 8731


მისამართები: რედაქციის რუსთაველის პროსპექტი № 16, გამომცემლობის რუსთაველის პროსპ. №34. ტელეფონები რედაქტორის 3—62—26, რედაქტორის მოადგილის 3—63—03, პასუხისმგებელი მდივნის 3—08—67, სამდივნოს 3—06—88, მასობრივი განყოფილების 3—73—24, პარტმშენებლობის განყოფილების 3—57—61, სამრეწველო განყოფილების—3—73—40, სტამბის 3—27—04, გამომცემლობის—3—51—81. ხელთნაწერებს რედაქცია ავტორებს არ უბრუნებს.

სტამბა „კომუნისტი" კამოს ქ. № 68

მთავლიტის რწმუნებული 8433